ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 12 მარტი, 2020

№60 (8324)

ფასი: 60 თეთრი

## სკანდალი ზუგდიდის სასამართლოში

თვითიზოლაციაში მყოფმა ორმა ადვოკატმა რეჟიმი დაარღვია და სასამართლოში მივიდა



გვ.5

10 მარტიდან

ქართული ჰაგიოგრაფია

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



# დავით ქაცარავა: „საქართველომ აზერბაიჯანს დავითგარეჯი დაუთმო“

## რას აჩვენებს გუგლის რუკა





გვ.4



## „პოლიტპატიმრების გამოშვების გარეშე შეთანხმება შესრულებული ვერ იქნება“

გვ.3

დავით დარჩიაშვილი: „ოპოზიციაში კოორდინაცია შენარჩუნდება“



## ნაზი ჯანეზაშვილი: „ჩინჩალაძემ და მურუსიძემ იუსტიციის საბჭოში იაფფასიანი სპექტაკლი დადგეს“

გვ.3

„უზენაესის თავმჯდომარის არჩევა არჩევნებამდე უნდათ“

## რომან გოცირიძე: „ქართული ოცნება“ მეორედ ველარ გაბედავს თავხედობას!“

გვ.4



## ვახტანგ გომელაური ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის დელეგაციას შეხვდა



გვ.5

ISSN 1987-9385

**5** თბილისსა და რამდენიმე რეგიონში ახალი პროკურორები დაინიშნენ

**2** სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძეს კორონავირუსი დაუდასტურდა

**5** 43 წლის მამაკაცმა 16 წლის გოგონა გააუპატიურა

**2** მთავრობის ფორმირებისთვის ხმების მინიმუმ 40.54% იქნება საჭირო

# მთავრობის ფორმირებისთვის ხმების მინიმუმ 40.54% იქნება საჭირო

პარტია, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პროპორციული სისტემით 40.54%-ზე ნაკლებ მხარდაჭერას მიიღებს, მთავრობის დამოუკიდებლად ფორმირებას ვერ შეძლებს.

ამის შესახებ საარჩევნო სისტემის ცვლილებაზე კონსტიტუციურ კანონის პროექტშია აღნიშნული, რომლის ინიცირებაც ბიუროს გუშინდელ, 11 მარტის, სხდომაზე მოხდა.

კანონპროექტის მიხედვით, დგინდება პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით ჯამურად მიღებული მანდატების მარჟა, რომლის გადაჭარბების შემთხვევაში, პარტიას ან საარჩევნო ბლოკს მოაკლდება მანდატები პროპორციული საარჩევნო სიიდან და გადანაწილდება იმ სხვა პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ წარდგენილ საარჩევნო სიებზე, რომლებმაც შესაბამისი საარჩევნო ბარიერი გადალახეს.

„იმისათვის, რომ გამოირიცხოს 40 პროცენტზე ნაკლები მხარდაჭერის მქონე პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვება და მთავრობის დამოუკიდებლად ფორმირება, კანონპროექტი ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით ჯამურად მიღებული მანდატებისთვის მარჟის დადგენას, რომელიც განისაზღვრება პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო ბლოკების მიერ პროპორციული სისტემით მიღებული ნამდვილი ხმების საერთო რაოდენობაში მათ მიერვე პროპორციული წესით მიღებული ნამდვილი ხმების პროცენტული წილისა და ამ წილის ერთი მეოთხედის ჯამით.




აღნიშნული ზღვარი ერთპარტიული საპარლამენტო უმრავლესობის ფორმირებას გამორიცხავს იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პარტია ან საარჩევნო ბლოკი პროპორციული სისტემით ხმათა 40.54%-ზე ნაკლებს მიიღებს; ზემოხსენებული მარჟის გადაჭარბების შემთხვევაში, პარტიას ან საარჩევნო ბლოკს მოაკლდება მანდატები პროპორციული საარჩევნო სიიდან, რომლებიც პროპორციულად განაწილდება იმ სხვა პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ წარდგენილ საარჩევნო სიებზე, რომლებმაც შესაბამისი საარჩევნო ბარიერი გადალახეს" – ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

2020 წლის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ექნება პარტიას, რომლის მხარდაჭერა დადასტურებული იქნება არანაკლებ 5.000 ამომრჩევლის ხელმოწერით.

კანონპროექტის მიხედვით, 5.000 ხელმოწერის წარდგენის ვალდებულებისაგან გათავისუფლდება: 1. ყველა კვალიფიციური პარტია; 2. ყველა პარტია, რომელიც დამოუკიდებლად ან ბლოკურად მონაწილეობდა პარლამენტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბოლო არჩევნებში და მან/შესაბამისმა ბლოკმა პროპორციული წესით 15.000 ხმა მაინც მიიღო; 3. ყველა პოლიტიკური პარტია, რომლის მიერ წარდგენილმა ან რომლის წევრმა კანდიდატმა საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნების პირველ ტურში 15.000 ხმა მაინც მიიღო.

2024 წლამდე, რიგგარეშე არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, იმოქმედებს წარმოდგენილი კონსტიტუციური კანონპროექტით დადგენილი დროებითი საარჩევნო სისტემა.

ამასთან, 2024 წელს რიგგარეშე არჩევნების ჩატარება გათვალისწინებული არ არის.

# 2020 წლის არჩევნებისთვის 30 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი შეიქმნება

## თბილისში 8 ოლქი იქნება

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ქვეყნის მასშტაბით 30 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი შეიქმნება. როგორც კონსტიტუციურ კანონის პროექტშია აღნიშნული, დედაქალაქში 8 საარჩევნო ოლქი იქნება, ხოლო დანარჩენი – რეგიონებში.




„ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, კანონპროექტით თბილისში მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები შემდეგნაირად დაიყოფა:

მთაწმინდისა და კრწანისის რაიონები; ვაკის რაიონი; საბურთალოს რაიონი; ისნის რაიონი; სამგორის რაიონი; დიდუბისა და ჩუღურეთის რაიონები; გლდანის რაიონი; ნაძალადევის რაიონი.

რეგიონებში ოლქების განაწილება შემდეგია:

კახეთი – 2 ოლქი (ერთში გაერთიანდება თელავის, ახმეტის, ყვარლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები; ხოლო მეორეში – გურჯაანის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტები);

ქვემო ქართლი – 3 ოლქი (ერთში გაერთიანდება რუსთავის მუნიციპალიტეტი და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ნორიოს, მარტყოფის, ახალსოფლის, სართიჭალის, გამარჯვების, ახალი სამგორის, ლემშვენიერას, თელეთის, კუმისისა და კრწანისის ადმინისტრაციული ერთეულები, მეორეში – მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტები, მესამეში – ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტები);

შიდა ქართლი – 2 ოლქი ( ერთში გაერთიანდება კასპისა და გორის მუნიციპალიტეტები; მეორეში – ხაშურისა და ქარელის მუნიციპალიტეტები და გორის მუნიციპალიტეტის ვარიანის, ნიქოზის, ტირძნისის, სკრისა და შინდისის ადმინისტრაციული ერთეულები);

მცხეთა–მთიანეთი – 1 ოლქი (მცხეთის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები);

სამცხე–ჯავახეთი – 2 ოლქი (ერთში გაერთიანდება ახალციხის, ბორჯომის, ადიგენისა და ასპინძის მუნიციპალიტეტები; მეორეში – ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები);

გურია – 1 ოლქი (ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები);

სამეგრელო – 3 ოლქი (ერთი – ზუგდიდის მუნიციპალიტეტი; მეორე – ფოთის, ხობისა და სენაკის მუნიციპალიტეტები; მესამე – წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილისა და აბაშის მუნიციპალიტეტები);

რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი 1 ოლქი – (ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხისა და მესტიის მუნიციპალიტეტები);

იმერეთი – 4 ოლქი (ერთი – ქუთაისის მუნიციპალიტეტი; მეორე – საჩხერის, ჭიათურისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტები; მესამე – ტყიბულის, თერჯოლის, ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტები; მეოთხე – სამტრედიის, წყალტუბოს, ვანისა და ხონის მუნიციპალიტეტები);

აჭარა – 3 ოლქი (ერთი – ბათუმის მუნიციპალიტეტი; მეორე – ქობულეთის მუნიციპალიტეტი და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მახინჯაურის, ორთაბათუმის, ახალშენისა და ფერიის ადმინისტრაციული ერთეულები; მესამე – ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტები).

# გიგა ბოკერია: „როგორც კი შეთანხმება შესრულდება, ბოიკოტი აღარ იარსებებს"



– არ დაგიმალავთ, რომ „ევროპული საქართველოს" ეგოისტური ინტერესია და ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე გვგონია, რომ საპარლამენტო ტრიბუნას ეფექტურად ვიყენებთ.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს" ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ ჟურნალისტებთან ოპოზიციის ბოიკოტთან დაკავშირებით განაცხადა.

მისივე თქმით, ნორმალური საპარლამენტო ცხოვრება მათ ინტერესშიცაა, თუმცა ბოიკოტის დასრულება შეთანხმების შესრულებაზეა დამოკიდებული.

– როგორც კი ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან კარგი შეთანხმება შესრულდება, მაშინ, ბუნებრივია, პოლიტიკური ბოიკოტი აღარ იარსებებს. როგორც ქვეყნის, ასევე ჩვენს ინტერესშია ნორმალური საპარლამენტო ცხოვრება – როგორი დაპირისპირებაც არ უნდა იყოს პოლიტიკურ ძალებს შორის შინაარსით, ნორმალურია, როცა ეს ყველაფერი პარლამენტში ხდება.

არ დაგიმალავთ, რომ „ევროპული საქართველოს" ეგოისტური ინტერესია და ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე გვგონია, რომ საპარლამენტო ტრიბუნას ეფექტურად ვიყენებთ.

ორივენაირად გვაწყობს ეს, მაგრამ პრინციპული საკითხია შეთანხმების შესრულება. იმედია, ეს შესრულდება და პოლიტიკური ბოიკოტი დასრულდება. თუ შეთანხმების შესრულებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ, ჩვენი ხმების პრობლემა არ იარსებებს. ხმას მივცემთ და ბოიკოტი სხვა მხრივ გაგრძელდება. შესაძლებლობას ყოველთვის გამოვნახავთ, რომ იმ შეთანხმების შესრულებას, რომელიც მიღწეული იქნა, პრობლემა არ შევუქმნათ.

იმედი მაქვს, არც სხვა არ შეუქმნის არც ერთი მიმართულებით, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

# საქართველოში კორონავირუსით ინფიცირებულთა რიცხვი 24-მდე გაიზარდა



საქართველოში კორონავირუსით ინფიცირებულთა რიცხვი 24 -მდე გაიზარდა.

ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემ გუშინ, 11 მარტს, „ტვ პირველის" ეთერში განაცხადა.

– კლების ტენდენცია არ გვაქვს, მატების ტენდენცია გვაქვს, რაზეც ხშირად ვსაუბრობთ, რომ შემთხვევები გვექნება. გზაში დამაწიეს ინფორმაცია, 39 ნიმუში იყო შემოტანილი და ჯერ კიდევ გრძელდება ნიმუშების შემოტანა. სამწუხაროდ, გვაქვს 1 დადასტურებული შემთხვევა. კვლევები ისევ მიმდინარეობს, – აღნიშნა ამირან გამყრელიძემ.

კარანტინის რეჟიმში ამ დროისთვის 298 ადამიანი იმყოფება, სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ კი 46 პაციენტი რჩება.

# სკოლებში, საბავშვო ბაღებსა და უნივერსიტეტებში არდადეგები 1 აპრილამდე გახანგრძლივდა

## ჯარში გაწვევა 1 თვით გადაიდო

კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი საბჭოს გადაწყვეტილებით, სასწავლო დაწესებულებებში არდადეგები 1 აპრილამდე გახანგრძლივდა. შესაბამის ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.




„პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედმა უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მორიგი სხდომა გამართა.

საბჭოს სხდომაზე საქართველოს მთავრობის მეთაურმა მოისმინა ინფორმაცია საქართველოში კორონავირუსით ინფიცირებული პაციენტების ჯანმრთელობისა და მსოფლიოში არსებული ზოგადი ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ დღეის მდგომარეობით ინფიცირებულია 23 ადამიანი. უმეტესობა მათგანის ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებელია, ხოლო – 2-ს აღენიშნება შედარებით რთული სიმპტომები, თუმცა ყველა პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია და მათ შესაბამისი მკურნალობა უტარდებათ.

საკოორდინაციო საბჭოს მიეწოდა ინფორმაცია, რომ ამ ეტაპზე კარანტინში რჩება 126 ადამიანი, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება 46 პირი.

საბჭოს წევრებმა ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში ახალი გადაწყვეტილებები მიიღეს:

1. საქართველოს მასშტაბით სასწავლო დაწესებულებებში გამოცხადებული არდადეგები ამ ეტაპზე 1 აპრილამდე გახანგრძლივდა. ასევე, 1 აპრილამდე შეწყვეტილი იქნება სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის მომსახურების მიწოდება დღის ცენტრებში. საჭირო ღონისძიებებს დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს. აღნიშნულ პერიოდში ანაზღაურების საკითხი კი შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის გათვალისწინებით გადაწყდება.

2. სავალდებულო სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო გაწვევა ერთი თვით, 13 აპრილამდე გადავადდა.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო კოორდინირებული ნაბიჯების გადადგმის მიზნით სხდომებს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით სისტემატურ რეჟიმში განაგრძობს.

საბჭოს მუშაობაში აქტიურად არიან ჩართული საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია და პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი.

სხდომაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ ხელისუფლება მართავს პროცესს.

უწყებათაშორისი საბჭოს სხდომაზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მოქალაქეების მხრიდან მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გამოვლენისა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მნიშვნელობას ვირუსის მასობრივი გავრცელების პრევენციის საქმეში" – ნათქვამია ინფორმაციაში.

# სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძეს კორონავირუსი დაუდასტურდა



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძეს ახალი კორონავირუსი დაუდასტურდა. აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადებას თავად უწყება ავრცელებს.

„საზოგადოების მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს, რომ მინისტრის მოადგილეს, იური ნოზაძეს 10 მარტს, განმეორებით ჩატარებული კვლევების შედეგად დაუდასტურდა კორონავირუსი კოვიდ-19. გამომდინარე იქიდან, რომ მინისტრის მოადგილის, იური ნოზაძის ოჯახის წევრს გასული კვირის ხუთშაბათს დაუდასტურდა კორონავირუსი კოვიდ-19, იგი იმყოფებოდა თვითიზოლაციაში.

პარასკევს გაკეთებული პირველადი კვლევის შედეგი იყო უარყოფითი.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე მკურნალობას ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ აგრძელებს. აღსანიშნავია, რომ ეპიდემიოლოგები შემხებლობის პერიოდიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად არ აყენებენ რისკის ქვეშ სამსახურში მასთან შემხებლობაში მყოფი თანამშრომლების ჯანმრთელობას" – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „პოლიტპატიმრების გამოშვების გარეშე შეთანხმება შესრულებული ვერ იქნება“

## დავით დარჩიაშვილი: „ოპოზიციაში კოორდინაცია შენარჩუნდება“

ნათია ხურცილავა

**„ევროპული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო დავით, მიღწეული შეთანხმების შემდეგ რამდენად ელოდებით ნორმალურ წინასაარჩევნო გარემოს?***

– ნორმალურ არჩევნებს არ ველოდები, მაგრამ ყველაფერი შედარებითია. თან, ჯობია, შეთანხმებული წესებით ჩატარდეს, ვიდრე შეუთანხმებლად. პოლიტიკურ ძალებს შორის შეთანხმება ჯერ ისევ ჰაერშია გამოკიდებული. მე ვგულისხმობ პოლიტპატიმრების თემას, რომელიც ისევ გადაუჭრელია.

საუბარია იყო კონკრეტულ ადამიანებზე, დღეს ეს საუბარი უარყოფილია. ამიტომ, მე არ გამოვრიცხავ, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს საერთოდ შეთანხმება.

***– შეთანხმების პირველი ნაწილი?***

– დიახ. „ქართულ ოცნებას“ არ ჰყოფნის საკონსტიტუციო ცვლილების გასატარებლად პარლამენტში დეპუტატთა რაოდენობა, მათ სჭირდებათ ოპოზიციური ხმები. ამიტომ, თუ შეთანხმება არ იქნება ბოლომდე დაცული, კანონპროექტი ვერ გავა და შეთანხმება ჩაიშლება. რომც ჰყოფნიდეთ ხმები კანონპროექტის გასატანად, შეთანხმება მაინც ჩაშლილად ჩაითვლება, რადგან მთელი ქართველი საზოგადოების, საერთაშორისო საზოგადოების მოლოდინი იყო, რომ პოლიტიკურ სპექტრს შორის შეთანხმება მოხდებოდა. ოპოზიცია და ხელისუფლება შეთანხმებული თამაშის წესებით გავიდოდნენ არჩევნებზე, ეს იყო მიზანი, სხვა კი არაფერი. თუ ოპოზიციური ძალები უარზე არიან, ე.ი. შეთანხმება არ მომხდარა.

***– ელოდით, რომ ხელისუფლება აღიარებდა ქვეყანაში პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დაპატიმრებას?***

– არა, არა, რა თქმა უნდა, ამას არ ველოდი! გასაგებია, ხელისუფლება თავზე ნაცარს არ დაიყრის, მაგრამ რაც უნდათ, ის განცხადებები გააკეთონ, როგორც უნდათ, ისეთი ფორმულირებით, მაგრამ კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ. პროცესი უნდა დაიძრას. ასევე, გასაგებია, რომ ვერც იმას იტყვიან, სასამართლოს ვუბრძანებთ, როგორ იმოქმედოსო.

***– სწორედ ამას ამბობენ, რომ დამოუკიდებელ ინსტიტუტს ვერ უკარნახებენ.***

– დიახ, სწორია, მაგრამ საქმით უნდა გამოჩნდეს, რომ შეთანხმების ყველა ნაწილს ასრულებენ. უნდა შეწყდეს პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნა, დაკავებულები უნდა გამოვიდნენ ციხიდან ეს იქნება შეწყალებით თუ სხვა გზებით. ეს უნდა მოხდეს სწრაფად, რადგან ნიშნისმოგებით საუბრები უკვე მეტისმეტია, რადგან ასეთი განცხადებები და პოზიციები შეთანხმების ჩაშლის სუნს აჩენს.

***– სალომე ზურაბიშვილმა თქვა, ჩემი საქმეა, შევიწყალებ თუ არა უგულავასო. შეიძლება გაუჯიუტდეს „ქართული ოცნება“?***

– შეიძლება ასე ილაპარაკოს სალომე ზურაბიშვილმა, მაგრამ ჩემიც, საზოგადოების და საერთაშორისო შუამავლების, ელჩების, ევროპარლამენტარების, ამერიკელი კონგრესმენების, სენატორების მოლოდინი ახლა მის მიმართ სხვა არის. თუ ადეკვატური ნაბიჯები არ გადაიდგა და დარჩება მხოლოდ განცხადებები, ჩემი საქმეა და მე ვიცი, რასაც ვიზამო, ეს იქნება პირდაპირ უარის თქმა პროცესის ნორმალურ გარემოში დაბრუნებაზე.

***– მაინც რამ იქონია გადამწყვეტი გავლენა შეთანხმების მიღწევაში?***

– ასეთ დროს ერთი მიზეზი არასდროს არ არის. ყველაფერმა თავისი წვლილი შეიტანა. ოპოზიციის კოორდინაციამ, საზოგადოების განწყობამ, ამ ყველაფერმა საერთაშორისო საზოგადოებას შესაძლებლობა მისცა, მხარი დაეჭირა პროცესის გაჯანსაღებისთვის. ყველაფერმა ერთად მოიტანა ეს შედეგი.

***– არჩევნებში ოპოზიციისა და მმართველი პარტიის შანსებზე როგორია თქვენი პოზიცია? მამუკა მდინარაძე აცხადებს, რომ „ოცნება“ 60%-ს აიღებს და კოალიცია არ დასჭირდება.***

– ეს წინასაარჩევნო ბაქი-ბუქია. ეს არის ამომრჩევლის მობილიზებისთვის, მისი გამხნევებისთვის გაკეთებული განცხადება და ასეთი განცხადებები ამისთვის სჭირდებათ. ეს გასაგებია. არავინ ამბობს, არჩევნებში წასაგებად ვმონაწილეობო. თუ არჩევნები მეტ-ნაკლებად ნორმალურად ჩატარდა, მაშინ გამორიცხულია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები მოიგოს. მას „პატრიოტთა ალიანსის“ ხმებიც ვერ დაეხმარება კოალიციური მთავრობის ჩამოსაყალიბებლად.

***– და რა შეიძლება მოხდეს?***

– ოპოზიცია მოვიდეს კოალიციური მთავრობით. ოპოზიციური კოალიცია იქნება ხელისუფლებაში.

***– ოპოზიცია საერთო კანდიდატებით უნდა გამოვიდეს მაჟორიტარულ ოლქებში?***

– ამა თუ იმ ფორმით კოორდინაცია რომ იქნება ოპოზიციურ ძალებს შორის, ვიცი. საერთო კანდიდატები იქნება თუ ერთმანეთს კონკურენტებს არ დაუყენებენ, კონკრეტული ფორმა დღეს არ არის ცნობილი, ეს ყველაფერი მოლაპარაკების საგანია.

ოპოზიციაში კოორდინაცია იქნება. ხელისუფლება ყოველმხრივ შეეცდება, ეს კოორდინაცია ჩაშალოს, მაგრამ ოპოზიციამ შეძლო, აქამდე შეენარჩუნებინა ერთიანობა და ეს გაგრძელდება.



# ნაზი ჯანეზაშვილი: „ჩინჩალაძემ და მურუსიძემ იუსტიციის საბჭოში იაფფასიანი სპექტაკლი დადგეს“

## „უზენაესის თავმჯდომარის არჩევა არჩევნებამდე უნდათ“

იაგო ნაცვლიშვილი

**იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს კანდიდატად ნინო ქადაგიძე დაასახელა, რომელსაც კენჭი პარლამენტმა უნდა უყაროს და სიითი შემადგენლობის უმრავლესობით აირჩიოს, ანუ მის ასარჩევად მინიმუმ 76 ხმაა საჭირო. საზოგადოებაში მოლოდინი იყო, რომ თავმჯდომარედ ბიძინა ივანიშვილის ყოფილ პირად ადვოკატსა და შემდეგ გენერალურ პროკურორ შალვა თადუმაძეს აირჩევდნენ, თუმცა ბოლო მომენტში გადაწყვეტილება გადაიხედა და ის ქადაგაძით ჩანაცვლდა.**

**იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრები ანა დოლიძე და ნაზი ჯანეზაშვილი აცხადებენ, რომ ეს კლანთან შეთანხმების გარეშე ვერ მოხდებოდა.**

**როგორ წარიმართა იუსტიციის საბჭოში ნინო ქადაგიძის კანდიდატად დასახელების პროცესი, რატომ გადაიფიქრეს თადუმაძის წარდგენა, რატომ ჩქარობენ თავმჯდომარის არჩევას და უკავშირდება თუ არა ეს არჩევნებს? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრი ნაზი ჯანეზაშვილი საუბრობს:**

***– ნინო ქადაგიძეს კანდიდატურას იუსტიციის საბჭო გადაუგზავნის პარლამენტს. ქადაგიძეც სასამართლოს კლანის წევრია? და როგორ აფასებთ ამ გადაწყვეტილებას?***

– ნინო ქადაგიძე ის ადამიანია, რომელიც თავის დროზე – 2018 წლის დეკემბერში იყო იმ სიაში, რომელიც მაშინ პარლამენტს წარედგინა. ის იყო სიაში ჩინჩალაძესთან, გვრიტიშვილთან და სხვებთან ერთად. ის პირველ ეტაპზევე იყო რაღაცა პროცესებისა და გარიგების მონაწილე, ვიღაცებთან კომუნიკაცია და შეთანხმება რომ არ ჰქონოდა, ის ვერ იქნებოდა იმ სიაში. ის ვიღაცა არის ჩინჩალაძე და მისი კლანი.

რაც შეეხება 10 მარტის მოვლენებს, ეს იყო სპექტაკლი და ამ სპექტაკლის მონაწილე იყო ნინო ქადაგიძე. ეს იყო ჩვეულებრივი სპექტაკლი, ამას არ ვამბობ მეტაფორულად. თქვენ უნდა დასწრებოდით იმ სხდომას და თქვენც იგივე შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ. საქართველოსა და მსოფლიოს წინაშე არის კორონავირუსის გამოწვევა, სადაც იკრძალება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შეკრება, მაგალითად, თეატრები, ეს ადამიანები – მოსამართლეები სპექტაკლებს გვიდგამენ ალბათ იმიტომ, რომ თვითონ ერთობიან. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი შეფასება მიწევს, მაგრამ ფაქტობრივად აი




ასე გამოვიდა. სამარცხვინოდ მოიქცნენ ის მოსამართლეები, რომლებიც ასეთ მძიმე სიტუაციაშიც კი არიან იმის განწყობაზე და იმის სურვილი აქვთ, რომ რაღაცა ტიპის შოუები დაუდგან საზოგადოებას.

თან, მით უმეტეს, საქმე ეხება უსერიოზულეს საკითხს, უზენაესი სასამართლოს არჩევას და ეს აქციეს იაფფასიან შოუდ და სპექტაკლად. ძალიან ვწუხვარ, რომ ამ ადამიანების შეგნებამდე ისიც ვერ დავიდა, როგორ უნდა წარადგინონ კანდიდატი. პროცესი რომ მაინც არ აქციონ სამარცხვინო პროცესად, არათუ ის ვის ირჩევენ, ესეც კი არ ესმით. ნინო ქადაგიძე იყო ამის მონაწილე.

კონსულტაციები წარიმართა ამგვარად, რომ მისი მიმდინარეობის დროს გაბინაშვილმა კანდიდატად დაასახელა თადუმაძე. მზია თოდუამ აქო თადუმაძე, შემდგომ მოსამართლე ალექსანდრე წულაძემ დაასახელა ნინო ქადაგიძე და ამას აჰყვა მაია ვაჩაძე, ისიც აქებდა მას, თითქოს რაღაცა საერთო აზრზე არიან. თითქოს ეს მოულოდნელი იყო ქადაგიძისათვის და ეს მისთვის იყო დიდი პატივი. ამ დროს სიტყვით გამოვიდა თადუმაძე და თქვა, რომ რაღაცა გეგმები აქვს. დარწმუნებული ვარ, თადუმაძემ წინასწარ იცოდა, რომ მას არ აირჩევდნენ.

საინტერესო დეტალია ის, რომ როდესაც დაიწყო სხდომა საბჭოს 4-მა წევრმა დააყენეს ქადაგიძის კანდიდატურა. მინიმუმ სამი წევრია საჭირო კანდიდატის დასახელებისთვის. ღია სხდომაზე კი თადუმაძის გვარი ნახსენებიც კი არ ყოფილა.

ესენი უნდა იყვნენ თეატრებში და სცენარებს უნდა წერდნენ. რაღაცა იაფფასიანი კომედიური ჟანრის სცენარებს. სერიოზული სპექტაკლის კი არა, იაფფასიანი სპექტაკლის სცენარებს, რადგან სხვა ნიჭი და შესაძლებლობა არ გააჩნიათ. ესენი მოსამართლეები არიან ტყუილად. ვინც ამ პროცესში მონაწილეობდა, ყველა სამარცხვინო ადამიანია. მათ იცოდნენ, რა სცენარიც უნდა გაეთამაშებინათ და წინასწარ გაითამაშეს როლები. ქადაგიძე არის ერთ-ერთი როლის შემსრულებელი.

***– სპექტაკლის რეჟისორი ვინ იყო?***

– ჩინჩალაძე და მურუსიძე. პირველ რიგში, ესენი იყვნენ, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ ეს პოლიტიკურ ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე არ გაკეთდებოდა.

ერთ რამესაც ვიტყვი – ბიძინა ივანიშვილი ჩვენთვის პატივსაცემ მსახიობებს ხელფასებს ხომ უხდიდა?! არ ვიცი, ისევ უხდის თუ არა. ივანიშვილს ვთავაზობ, წაიყვანოს ეს მოსამართლეები და მსახიობებად დაასაქმოს. ან სპეციალური თეატრი აუშენოს ამათ და გადაუხადოს ხელფასები. ჩვენ კი თავი დაგვანებონ. ჩვენ მოსამართლეები გვჭირდება და არა მსახიობები.

***– ის არ იყო დარღვევა, როდესაც თადუმაძე ჯერ იყო დასახელებული, ხოლო სხდომაზე აღარც კი ახსენეს?***

– დარღვევა იყო თვითონ კონსულტაციები. ვითომ მაღალ სტანდარტებს აწესებდნენ, მაგრამ ეს მაღალი კი არა, კლანის სტანდარტებია. რაღაცა პროცესი წარმართეს, თითქოს მოსამართლეები იყვნენ ჩართულები ამ პროცესში.

ყველაზე სამწუხარო ჩემთვის არის ერთი რამე – ჩვენ გვყავს ვადიანი მოსამართლეები სასამართლოში, ზოგიერთს მალე ეწურება ვადა, ზოგს რამდენიმე წელში. დღეს მათთვის მთავარი ინტერესია, რომ სასწრაფო წესით მოხდეს მათი უვადოდ გადანიშვნა. მიქაუტაძესთან და სხვებთან ამაზე ჰქონდათ საუბარი, რომ იქნებ მათზეც იზრუნოს ვინმემ და მალე მოხდეს მათი უვადოდ გადანიშვნა, რათა ეს სჭირდება დემოკრატიასო. არ ვიცი, დემოკრატიას სჭირდება კი უვადო მოსამართლეები? მე მგონი, არ სჭირდება.

***– ხომ არ ცდილობენ, რომ არჩევნებამდე მოაგვარონ ეს ამბები?***

– კი, რა თქმა უნდა. შემდეგი ხელისუფლება ვინ იქნება, როგორ და რანაირად იქნება არ იციან. ასე მარტივად რომ აღარ დაუნიშნავენ თავმჯდომარეს, ეს ძალიან კარგად იციან. აქედან გამომდინარე ცდილობენ მოასწრონ.

არ მინდა ვიფიქრო, რომ იმ ვითარებაში როცა კორონავირუსია ქვეყანაში და ხალხი მთლიანად ამაზეა გადართული, ასეთი მძიმე შემთხვევითაც კი ისარგებლეს, რომ კანდიდატურა დროულად დაესახელებინათ. თუ ადამიანი ამაზე მიდის, ამაზე სამარცხვინო და ამორალური, ვერ წარმომიდგენია რომ რამე იყოს.

***– თქვენი რეკომენდაცია რა იყო თავმჯდომარის არჩევის თაობაზე, რომ მისი არჩევისგან თავი შეეკავებინათ არჩევნებამდე?***

– ჩემი რეკომენდაცია იყო ის, რომ ჩართულობა თუ უნდოდათ, სამოქალაქო საზოგადოება და სხვა დაინტერესებული მხარეები ამ კონსულტაციებში უნდა ჩართულიყვნენ. ეს იქნებოდა ყველაზე ლოგიკური და ადეკვატური. მათ ჩემი რჩევები არ სჭირდებათ, მაგრამ ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, რომ თუ აქამდე გაძლო თავმჯდომარის გარეშე უზენაესმა სასამართლომ, ახლაც დალოდებოდნენ ცოტა ხანი. ძალიან ღირსეული გადაწყვეტილება იქნებოდა თუ შემდეგი მოწვევის პარლამენტს დაუთმობდნენ ამას. სადაც წელიწადნახევარი იყო, იქ დამატებით 6 თვეც ყოფილიყო და შემდგომ პარლამენტს მიელო გადაწყვეტილება. ეს იქნებოდა სწორი.

***– თადუმაძის დანიშვნა რატომ გადაიფიქრეს, მაშინ როდესაც, ყველას ამის მოლოდინი გვქონდა?***

– შეეშინდათ. იცით, რომ უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტებას მოჰყვა საერთაშორისო გამოხმაურება. არ ვგულისხმობ მხოლოდ იმ ანგარიშებს, რაც დაიდო ეუთოს თუ სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან. ევროსაბჭოს მონიტორინგის საბჭოს წევრებმა ძალიან მკაცრად გააკრიტიკეს პირად შეხვედრებზეც, მათ შორის იმ შეხვედრაზე, რომელსაც მეც ვესწრებოდი. მათ გააკრიტიკეს კლანის წევრები, გვრიტიშვილები და სხვა. ერთ-ერთმა ისიც კი თქვა, რომ დიპლომატიურ ენას დავივიწყებო და ისე გეტყვით, რომ ინტერესთა კონფლიქტი იყოო. ძალიან მწვავე კრიტიკა იყო. ყველამ კარგად გაიგო, რაც ხდებოდა.

ის წერილები, რაც ბოლო პერიოდში დაიდო, ნახსენები იყო საარჩევნო სისტემა და იქვე ნახსენები იყო დამოუკიდებელი სასამართლო და ამ კუთხით არსებული სერიოზული გამოწვევები. პირველ რიგში კი, უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტება, პოლიტპატიმრების საკითხი და ა. შ. ანუ სასამართლოს თემა არის ძალიან მნიშვნელოვანი და ეს თითქმის ყველა დოკუმენტში იყო ასახული, რაც კი საქართველოს შესახებ მომზადდა.

შეეშინდათ იმ გამოხმაურებებით და იმ რეაქციებით, რაც ამ პროცესს მოჰყვა. როგორც საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით გახდნენ იძულებულები, რომ კომპრომისზე წასულიყვნენ, ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც, რომ მთლად კომპრომისზე არ წასულიყვნენ, მაგრამ ისეთი კანდიდატი დაესახელებინათ, რომელზეც საზოგადოების ვნებათაღელვა ჩაეცხროთ და საერთაშორისო პარტნიორებისთვის დაენახებინათ, რაღაც დამთმობი გადაწყვეტილება მიეღოთ. შეეშინდათ და შედარებით ნეიტრალურ ფიგურაზე შეეჩერებინათ არჩევანი, ვინაიდან ნინო ქადაგიძე ოდიოზური ფიგურა არ არის, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ჩინჩალაძესთან შეხვედრების და შეთანხმების გარეშე ქადაგიძე ვერც უზენაესის მოსამართლე გახდებოდა და ვერც თავმჯდომარის კანდიდატად დაასახელებდნენ მას.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# რომან გოცირიძე: „ქართული ოცნება“ მეორედ ველარ გაბედავს თავხედობას!“



„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.

ნონა ცაბაძე

***– ბატონო რომან, ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო სხდომებს კვლავ ბოიკოტს გამოუცხადებსო. რატომ, ხომ შედგა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეთანხმება, რატომ უცხადებთ ბოიკოტს?***

– ჩვენ დავბრუნდებით საპარლამენტო მუშაობაში მხოლოდ მაშინ, როდესაც შესრულდება შეთანხმება და ეს შეთანხმება ითვალისწინებს ორ რამეს, ერთი ეს არის ინიცირება კანონპროექტისა, რომელიც ითვალისწინებს საკონსტიტუციო ცვლილებას და ეს მოხდა უკვე გუშინ პარლამენტის ბიუროზე და მეორე ნაწილი ამ შეთანხმების, ეს არის პოლიტპატიმრების გამოშვება. ჩვენ ველოდებით ამ პროცესს თუ როდის გამოუშვებენ ამ ადამიანებს: ირაკლი ოქრუაშვილს, გიორგი რურუას, ბესიკ თამლიანს, ეს არის პირველი ეტაპი, რომელიც ძალიან მარტივია, მხოლოდ პროკურატურას სჭირდება აღმკვეთი ღონისძიების შეცვლა და ეს შესაძლებელია მოგვარდეს ერთ საათში. ასევე უნდა გათავისუფლდნენ სხვა პოლიტპატიმრები, რომლებიც დაკავშირებულები არიან 20 ივნისის ამბებთან. მის შემდეგ კი პრეზიდენტმა უნდა შეიწყალოს გიგი უგულავა.

***– ბატონო რომან, სხვადასხვაგვარი შეფასებები და ინფორმაციები გამოვიდა ამ მოლაპარაკების შემდეგ. ხელისუფლება აცხადებს, რომ არანაირ კონკრეტულ გვარებზე საუბარი არ ყოფილა, არანაირი პოლიტპატიმრები ჩვენ არ გვყავსო. საპირისპიროს ამბობს ოპოზიცია. რამდენად შევა ჩიხში სიტუაცია?***

– ამ მოლაპარაკებას ესწრებოდა რამდენიმე პარტიის წარმომადგენელი და გამოდის, რომ ყველა იტყუება?! ანუ ჩვენ გვყავს ცრუპენტელა, უპასუხისმგებლო ოპოზიცია?! ამ მოლაპარაკებას ასევე ესწრებოდნენ შუამავლები და ჩვენ ამას ვაცხადებთ ხმამაღლა ისე, რომ არ შეგვრცხვეს ჩვენი მეგობარი სახელმწიფოების?! მოლაპარაკების შედეგი ასახული იყო ელჩების განცხადებაში, ელჩები ლაპარაკობენ სხვა ენით, პოლიტიკოსები კი სხვა ენით. ელჩების განცხადებაში იყო საუბარი, რომ საქართველოში თავიდან უნდა ავიცილოთ სასამართლოს პოლიტიზაცია.

***– და ეს ნიშნავს პოლიტპატიმრების გათავისუფლებას?***

– თუ ელჩების ენას მოვთარგმნით გლეხურ ენაზე, გულისხმობს, რომ სასამართლო გამოიყენება პოლიტიკური დევნისათვის. ხოლო ამერიკელმა კონგრესმენმა, რომელიც არის ყველაზე მნიშვნელოვანი კომიტეტის თავმჯდომარე, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის, მან ელჩების ეს განცხადება პოლიტიკურად მოთარგმნა ასე, რომ უნდა შეწყდეს საქართველოში პოლიტიკური დევნა და დაუყოვნებლივ უნდა იყვნენ გათავისუფლებული ის ადამიანები, რომლებიც დაპატიმრებულები არიან პოლიტიკური ნიშნით. ამაზე ნათელი მინიშნება ჩვენი საზოგადოებისათვის რა უნდა იყოს?! როდესაც პოლიტიკოსები ვამბობთ, რომ ჩვენი მთავრობა არის არაკომპეტენტური და საზიზღარი, იგივეს ელჩი იტყოდა ასე, რომ საქართველოს მთავრობის კომპეტენცია და მისი პროფილე, ამომრჩევლისთვის არაერთგვაროვანია.

***– ანუ კონკრეტულ გვარებზე არ ყოფილა საუბარი და ხელისუფლება არ ცრუობს.***

– ამ მემორანდუმში გარკვევით წერია, რომ საქართველოში არ უნდა ხდებოდეს სასამართლო სისტემის პოლიტიზება და ეს სწორედ ამას ნიშნავს. ელჩების ენა გაცილებით დახვეწილი და დიპლომატიურია.

ამერიკის ელჩის ნათქვამი კი ძალიან კარგად გაიგო ამერიკის კონგრესმა, რომელმაც დაგვინიშნა და გამოგვიგზავნა ეს ელჩი. მუნჯის ენა დედამ იცისო. მათ კი განაცხადეს, რომ პოლიტიკური ნიშნით დაკავებული ადამიანები უნდა გათავისუფლდნენ! ამაზე მეტი რაღა თქვან?! ჩვენ ველოდებით, რომ ეს შეთანხმება იქნება შესრულებული და სწორედ ამის შემდეგ ჩვენ დავუბრუნდებით საპარლამენტო მუშაობას და მივიღებთ საკონსტიტუციო ცვლილებების საპარლამენტო განხილვაში მონაწილეობას.

***– თუკი ეს მეორე პუნქტი არ შეასრულა ხელისუფლებამ?***

– მაშინ გამოდის, რომ ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ მოატყუა ხალხი და ამდენი მილოცვებისა და აჟიოტაჟის ფონზე, რომ, როგორც იქნა, საქართველოს მთავრობა გონს მოეგო, აქეთ ევროკავშირი გვილოცავს, იქით ამერიკა, მოკლედ, ვინ არ მიულოცა საქართველოს ხელისუფლებას ეს გონივრული ნაბიჯი და თუ კიდევ ერთხელ დააპირებენ საერთაშორისო პარტნიორების, ოპოზიციის და ამომრჩევლების მოტყუებას, ეს უმძიმესად იქნება ასახული მომავალ არჩევნებში. არჩევანი არის მათზე.

***– ეს შეთანხმება ბევრმა ასე გაიგო, რომ არ იქნება პოლიტიკური დევნა, რომ აღარ დაიჭერენ ნიკა მელიას, შეწყდება ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმის პოლიტიზირება და ასე შემდეგ. ხოლო დაკავებულებს აღარ გამოუშვებენო. ასე იქნება?***

– ნიკა მელიას დაპატიმრებას აპირებდნენ 10 მარტს და პროცესი გადაიდო 30 აპრილისათვის. ხაზარაძე-ჯაფარიძის პროცესიც გადაიდო გაურკვეველი ვადით. ჩვენ ველოდებით, რომ პოლიტპატიმრებიც იქნებიან გამოშვებული. ამიტომ ველოდებით, რომ ყველაფერი დამთავრდება კარგად. ყველას აქვს უფლება, როგორი ინტერპრეტაციაც უნდა, ისეთი მისცეს ამ საკითხს. „ოცნებამ“ უნდა თქვას, რომ ყავს პოლიტპატიმრები, უნდა ნუ იტყვის. ჩვენ გვინდა შედეგი! შედეგი კი არის, რომ უკეთეს პირობებში ჩავატაროთ არჩევნები.

***– და თუ მეორე პუნქტი არ შესრულდება, არ ღებულობთ მონაწილეობას პროცესებში?***

– რა თქმა უნდა, არა!

***– გაქვთ იმის მოლოდინი, რომ გამოუშვებენ?***

– კი, მაქვს. ძალიან ძნელია მეორეჯერ ისეთივე თავხედობა გამოიჩინონ და მოატყუონ ყველა. ამ გადაწყვეტილების ჩაშლა დაანგრევს „ქართულ ოცნებას“! ეს თავადაც კარგად იციან.

# დავით ქაცარავა: „საქართველომ აზერბაიჯანს დავითგარეჯი დაუთმო“

## რას აჩვენებს გუგლის რუკა

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მოძრაობა „ძალა ერთობაშიას“ ლიდერი დავით ქაცარავა პასუხობს.

***– ბატონო დავით, საკმაოდ საგანგაშო ინფორმაციას ავრცელებთ დავითგარეჯთან დაკავშირებით, რომ გუგლის მონაცემებით საზღვრები შეიცვალა. რა ხდება რეალურად?***

– ფაქტობრივად მიმდინარეობს დავითგარეჯის დათმობის პროცესი აზერბაიჯანისთვის. ეს არ არის სენსაციისთვის შექმნილი ან მოგონილი ინფორმაცია. გუგლი საკმაოდ სერიოზული კომპანიაა იმისთვის, რომ თვითნებურად დაიწყოს საზღვრების დადგენა, მით უმეტეს, როდესაც საკითხი ეხება სახელმწიფოთა შორის საზღვრებს, რომ თვითნებურად დაიწყოს რაღაცების შეცვლა. ან მხოლოდ აზერბაიჯანის მოთხოვნის საფუძველზე შეეცვალა.

***– იმის თქმა გინდათ, რომ მხოლოდ ცალმხრივი ინფორმაციის საფუძველზე არ არის ეს ცვლილება?***

– კი ბატონო, ასეა. ეს მართლაც საგანგაშო სიტუაციაა. იმიტომ, რომ ფაქტობრივად აღდგომის ტაძარი და უდაბნოს მთელი კომპლექსი მოხვედრილია აზერბაიჯანის მხარეს, მას უკვე აწერია აზერბაიჯანი. ერთადერთ პოზიტიურ მომენტად შეგვიძლია შევაფასოთ ის, რომ ჩიჩხიტური არის საქართველოს მხარეს დატოვებული, მაგრამ მაინც არადამამშვიდებელი გარემოებაა. თუ მივყვებით იმ ხაზებს, რომლებიც ახალი დადგენილია, ჩვენ ვნახავთ, რომ საგარეჯო-რუსთავის გზის გასაყარის მცირე მონაკვეთი მოხვედრილია აზერბაიჯანის მხარეს. ეს ყველაფერი კი



ხდება ჩუმად, საზოგადოებისგან დამალულად.

***– ანუ ჩუმი პროცესები დაიწყო ხელისუფლებამ?***

– ფაქტობრივად, ასე გამოდის.

***– ხელისუფლებას რეაქცია არ ჰქონია?***

– რეაქცია ნულოვანია. გუგლის მოცემულობით აღდგომის ტაძარი, უდაბნოს მონასტერი და საგარეჯო-რუსთავის გზის პატარა მონაკვეთი არის უკვე აზერბაიჯანის კუთვნილება.

ბურთი ხელისუფლების მოედანზეა და აწი უკვე ხელისუფლებამ უნდა დაგვარწმუნოს საწინააღმდეგოში და ჩვენ მხოლოდ მოხარულები ვიქნებით, თუ გუგლმა შეცდომა დაუშვა და სიტუაცია არ არის ამგვარი.

***– პრეზიდენტს ადანაშაულებდით აღნიშნულ საკითხში. რატომ?***

– ამ შემთხვევაში პრეზიდენტის დადანაშაულება შეიძლება მხოლოდ იმაში, რომ მან აბსოლუტურად გაუაზრებელი ან სულაც მიზანმიმართული ნაბიჯი გადადგა, რამაც მოახდინა სახელმწიფოთაშორისი სიტუაციის ნეგატივისკენ ესკალაცია, რამაც გამოიწვია ამხელა მნიშვნელობის ტერიტორიის დაკარგვა. პრეზიდენტის განცხადების შემდეგ, იმ კომისიამ, რომელიც 24 წელიწადია მუშაობს, ვერ გაუძლო ზეწოლას აზერბაიჯანის მხრიდან.

კომისიის დათმობილია და, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ კომისიას ეკისრება პასუხისმგებლობა ამ დათმობილ ტერიტორიაზე და ეს უბრალოდ ტერიტორია არაა. თუნდაც საძოვარი იყოს, ეს მაინც უპატიებელი შეცდომა იქნებოდა და, მით უმეტეს, როდესაც ვსაუბრობთ უდიდესი მნიშვნელობის ისტორიულ-რელიგიურ ძეგლზე და ქვეყნის კუთვნილებაზე. ძალიან მძიმე იარლიყს და სტატუსს მიიღებენ ის ადამიანები, ვისი ხელიც ამ საქმეში ურევია!

***– კულუარულად სულ გამოდიოდა ინფორმაციები, რომ ხელისუფლება ემზადებოდა ამ ტერიტორიის დასათმობად. გამოდის, რომ დათმო?***

– სავარაუდოდ, ასეა. გუგლი იმდენად სერიოზული ორგანიზაციაა, რომ თვითნებურად ან მხოლოდ რომელიმე მხარის თანხმობით სახელმწიფო საზღვარს არ შეცვლიდა. ანუ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მოხდა სრული დათმობა.

***– კონკრეტულად ვისი პასუხისმგებლობის საკითხი იკვეთება?***

– ეს არის მოქმედი ხელისუფლების პასუხისმგებლობა, რომელიც ვერც ერთ გამოცდას ვერ აბარებს, ვერც საზოგადოებას და ვერც სახელმწიფოს. გავიხსენოთ, რა ქნეს ჩორჩანა-პერევის უზარმაზარ ტყის მასივთან დაკავშირებით? 900 ჰექტრიან მონაკვეთზეა საუბარი, რომელიც არასდროს შედიოდა ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვრებში. ეს ტერიტორია გამზადებულია შესაღობად. იქვე გავიხსენოთ წაღვერი-ჩორჩანის ტყის მონაკვეთი, რომელიც უკვე შემოღობილი და ოკუპირებულია. ესეც ხომ გამოცდაა ამ ხელისუფლების?!

აქედან რუსეთი გვართმევს ტერიტორიებს დამატებით და იქიდან აზერბაიჯანი! ახლა რომ ჩაბრძანდეთ დავითგარეჯში, ახლოსაც არ გაგაკარებენ არც ჩიჩხიტურს, არც აღდგომის ტაძარს და არც უდაბნოს მონასტერს. ეს უკვე წართმეული ტერიტორიებია. უამრავი აზერბაიჯანელი მესაზღვრე დგას იქ. ის, რაც მოხდა, ამ ხელისუფლების პასუხისმგებლობაა. ამ ხელისუფლების ვალი იყო ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და მან ეს ვერ შეძლო.

***– სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ყველა ხელისუფლების პირობებში ვკარგავთ ტერიტორიებს...***

– სამწუხაროდ, ასეა. სასაცილოა ის არგუმენტი, რომელსაც ჩვენ ვისმენთ ამ ხელისუფლების მხრიდან, რომ ერთადერთი ხელისუფლება ვართ, რომელიც ტერიტორიას არ კარგავს და ომი არ ხდებაო.

ომი რად უნდათ, უომრად კარგავენ ტერიტორიებს და ამას მალავენ ხელისუფალნი.

# ბრიტანეთში აივ-ინფექციით დაავადებული პაციენტი ვირუსისგან განკურნეს

მსოფლიოში აივ-ინფექციისგან განკურნების მეორე შემთხვევა დაფიქსირდა. ადამ კასტილეხომ 30-თვიანი მკურნალობის შემდეგ უკვე შეწყვიტა ანტირეტროვირუსული თერაპია. ამის შესახებ წერს ბიბისი.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იგი მკურნალობდა არა აივ-ინფექციის პრეპარატებით, არამედ ღეროვანი უჯრედების საშუალებით. გაცხადებული ინფორმაციით, მას სიმსივნეც ჰქონდა და მკურნალობის ზემოხსენებული კურსით ორ უმძიმეს დაავადებას ებრძოდა.

ღეროვანი უჯრედების დონორებს აქვთ უიშვიათესი გენი, რომელიც დამცველობით უნარს სძენს ორგანიზმს – სწორედ ამ ფაქტის შესაბამისად კასტილეხომ შეიძინა დამცველობითი ფუნქცია აივ-ინფექციის მიმართ.

2011 წელს ტიმოთი ბრაუნი გახდა პირველი პაციენტი, რომელიც განიკურნა ზემოხსენებული მკურნალობით აივ-ინფექციისგან.

ღეროვანი უჯრედების გადანერგვით ადამიანის ორგანიზმში მცირდება ვირუსის გავრცელება და წარმოიქმნება ისეთ იმუნური უჯრედები, რომლებიც დონორების საშუალებით აჩერებენ და ეწინააღმდეგებიან აივ-ვირუსების გავრცელებას. მეცნიერთა თქმით, ზემოხსენებული თერაპია აივ-ინფიცირებულთა მკურნალობისთვის არ არის გათვლილი და იგი ვერ შეძლებს მილიონობით დაავადებულის განკურნვას.

მედიკოსთა აზრით, მკურნალობის აღნიშნული მეთოდი არის მაღალი რისკის შემცველი და გამოიყენება მხოლოდ როგორც უკიდურესი საშუალება იმ პაციენტებისთვის, რომლებსაც აქვთ აივ-ინფიცირება და ასევე აქვთ სიცოცხლისათვის საშიში ჰემატოლოგიური ავთვისებიანი დაავადებები.

# ნაზი ჯანეზაშვილი: „ჩინჩალაძემ და მურუსიძემ იუსტიციის საბჭოში იაფფასიანი სპექტაკლი დადგეს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***– ქადაგიძის მიერ გამოტანილი განაჩენები თუ ყოფილა განხილვის თემა?***

– დიახ. არის საქმეები, რაზეც წერენ მხარეებიც და ადვოკატებიც. მას აქვს მოსამართლეობის ოცწლიანი გამოცდილება და ბევრი საქმეა, რაზეც შეიძლება აქცენტირება. ამ ყველაფერს ვრცელი საუბარი და განხილვა სჭირდება, ზოგიერთ შემთხვევაში დეტალური განხილვა. მე, როგორც საბჭოს წევრი, ყველაზე მეტად მაინც იმ დარღვევებზე ვამახვილებ ყურადღებას, რომლის საფუძველზეც ქადაგიძე გახდა მოსამართლე. დარღვევებით არჩეული მოსამართლეა და, შესაბამისად, მის საქმეებს, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, შეიძლება შეექმნას უზენაესი სასამართლოს უფლების პრობლემა. იმ კუთხით, რომ რამდენად არის კანონიერად არჩეული მოსამართლე. ეს სამომავლოდ ევროსასამართლოს განხილვის საგანიც კი შეიძლება გახდეს რომელიმე მხარის, ან ადვოკატის მიერ. სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი პრინციპი ესაა, რომ საქმე განიხილოს კანონიერმა მოსამართლემ. სახალხო დამცველის ანგარიში რომ გავიხსენოთ, ის იყო რაღაცა სქემების ერთ-ერთი ნაწილი, რის საფუძველზეც მან ხმები დააგროვა და რანაირად არის კანონიერად არჩეული მოსამართლე?!

***– რა მოლოდინი გაქვთ პარლამენტისგან, დაუჭერს ის მხარს?***

– ალბათ დაუჭერს. იმიტომ, რომ როგორც ჩანს, თავიდანვე წინასწარ იყო განსაზღვრული ეს კანდიდატი და მოლაპარაკებულები ალბათ არიან. მე ვფიქრობ, რომ პარლამენტი მას მხარს დაუჭერს. მას პარლამენტი აირჩევს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ანუ მის ასარჩევად 76 ხმაა საჭირო.

# ირაკლი დეკანოიძეს ნათია გოგალაძის მკვლელობისთვის 20 წელი მიესაჯა



გორის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყოფილი მეუღლის, ნათია გოგალაძის, განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარებისთვის ბრალდებული ირაკლი დეკანოიძე დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 11 ოქტომბერს, ხაშურში ირაკლი დეკანოიძე ყოფილ მეუღლესთან სამსახურში კუსტარულად დამზადებული ცეცხლსასროლი იარაღით და სამი ხელყუმბარით მივიდა და შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღით ჩაამტვრია ფანჯრის მინა და ყოფილ მეუღლეს ხუთჯერ ესროლა.

ვინაიდან ირაკლი დეკანოიძემ დანაშაულის სისრულეში მოყვანა ვერ მოახერხა, ყოფილი მეუღლის მიმართულებით ხელყუმბარა ისროლა, რომელიც არ აფეთქდა.

ნათია გოგალაძემ სიცოცხლის გადარჩენის მიზნით იქვე მდებარე სუპერმარკეტში შეაფარა თავი, სადაც ირაკლი დეკანოიძე შეჰყვა და განსაკუთრებული სისასტიკით, თავისა და სხეულის არეში ცეცხლსასროლი იარაღი რამდენჯერმე ჩაარტყა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მიღებული ოცზე მეტი დაზიანების შედეგადაც ნათია გოგალაძე საავადმყოფოში გარდაიცვალა,

სამართალდამცველებმა ირაკლი დეკანოიძე 2019 წლის 12 ოქტომბერს ქ. ხაშურში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით), 236-ე მუხლის მე-3, მე-4 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

გორის რაიონულმა სასამართლომ ირაკლი დეკანოიძე სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 20 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# ნინო ქადაგიძის კანდიდატურა ბიუროს სხდომას წარედგინა



ნინო ქადაგიძის კანდიდატურა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე ბიუროს სხდომას წარედგინა.

საკითხის განხილვა იურიდიულ საკითხთა კომიტეტს დაევალა, რომელიც ჯერ ნინო ქადაგიძის მონაცემებს შეისწავლის, შემდეგ კი მოსამართლის ხედვებს სხდომაზე მოისმენს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დამტკიცების პროცედურა პლენარულ სხდომაზე კენჭისყრით დასრულდება. ნინო ქადაგიძეს 76 დეპუტატის ხმა სჭირდება.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატად იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 12 ხმით ნინო ქადაგიძე დაამტკიცა.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო გვენეტაძემ, თანამდებობა 2018 წლის აგვისტოში დატოვა. პოსტიდან წასვლის მიზეზად გვენეტაძემ ჯანმრთელობის მდგომარეობა დაასახელა.

# 36 მილიონის საქმეზე დაკავებულებს 7-7 წელი მიესაჯათ



სახელმწიფოსთვის დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანების მოტყუებით მიყენებისა და ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტებზე დაკავებულ, ორგანიზებული ჯგუფის წევრებს 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია და სახელმწიფოსთვის დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანების მოტყუებით მიყენებისა და ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტებზე, ორგანიზებული ჯგუფის წევრები, ბ.ც. პ.გ. კ.ნ. მ.გ. და მ.ტ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ორგანიზებულმა ჯგუფმა, 2018-2019 წლებში, სხვადასხვა სამეწარმეო სუბიექტის სახელით, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების საფუძველზე, შეიქმნეს და გამოიყენეს დამატებული ღირებულების გადასახადის უკანონო ჩათვლა, რითაც გადაუხდელი გადასახადის სახით 36 მილიონ ლარზე მეტი, დიდი ოდენობით ზიანი მიადგა სახელმწიფო ბიუჯეტს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულები დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 185-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით, 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად თითოეულს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო თაღლითობის სხვა მსგავსი ფაქტების გამოსავლენად სამართალწარმოება გრძელდება. დღეის მდგომარეობით სისხლის სამართლებრივი დევნა მიმდინარეობს და საერთო სასამართლოების სისტემაში იხილება 84 პირის ბრალდების ათეულობით საქმე, 29 პირის მიმართ უკვე დადგა გამამტყუნებელი განაჩენები. სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მიუღებელი გადასახადის სახით მიყენებული ზიანიდან ანაზღაურებულია დაახლოებით 6 მილიონი ლარი. საგადასახადო თაღლითობის სხვა მსგავს ფაქტებზე რეაგირების, დანაშაულებრივად დაკავშირებული პირების გამოვლენისა და მათ მიმართ სამართლებრივი რეაგირების ღონისძიებების გასატარებლად სამართალდამცავ სისტემებში გამოძიება გრძელდება.

# სკანდალი ზუგდიდის სასამართლოში

## თვითიზოლაციაში მყოფმა ორმა ადვოკატმა რეჟიმი დაარღვია და სასამართლოში მივიდა



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით თვითიზოლაციაში მყოფი ადვოკატების მისვლას ეხმაურება.

შესაბამისი განცხადება უწყების ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

„11 მარტს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მყოფმა ორმა ადვოკატმა განაცხადა, რომ კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით იმყოფებოდნენ თვითიზოლაციაში. ამის საფუძველზე ითხოვეს სხდომის გადადება.

მას შემდეგ, რაც სასამართლოს თანამშრომლებმა ადვოკატების თვითიზოლაციაში ყოფნის შესახებ შეიტყვეს, მყისიერად იმოქმედეს და სთხოვეს შენობის დატოვება. მიუხედავად ამისა, ერთ-ერთი ადვოკატი სხდომათა დარბაზში შევიდა და თავად წარადგინა შუამდგომლობა პროცესის გადადების თაობაზე“ – ნათქვამია განცხადებაში.

უწყების ინფორმაციით, სასამართლომ ფაქტის შესახებ შესაბამის სამსახურებს შეატყობინა, მათ შორის საპატრულო პოლიციას. მათ ადგილზევე შეისწავლეს არსებული ვითარება. სასამართლოს შენობაში ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაო.

ამასთან, უწყებაში უარყოფენ ინფორმაციას სასამართლო პროცესების გადადების შესახებ და განმარტავენ, რომ გადაიდო მხოლოდ ის ორი პროცესი, თვითიზოლაციაში მყოფი ადვოკატების შუამდგომლობის საფუძველზე.

– ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში დღევანდელი შემთხვევა განსაკუთრებული შეშფოთების საფუძველს არ წარმოადგენს. სასამართლო სისტემა ყურადღებით ეკიდება და სრულად ითვალისწინებს კორონავირუსთან დაკავშირებით მიღებულ რეკომენდაციებს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოქალაქეებს კიდევ ერთხელ მიმართავს თხოვნით, თავი შეიკავონ სასამართლო პროცესებზე დასწრებისგან, გადაუდებელი აუცილებლობის გარდა, – აცხადებენ უწყებაში.

ინფორმაცია სასამართლოში თვითიზოლაციაში მყოფი ადვოკატების გამოჩენის შესახებ მოსამართლე ნატრული აკობიამ სოციალურ ქსელში გაავრცელა.

# 43 წლის მამაკაცმა 16 წლის გოგონა გააუპატიურა



5 მარტს, გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტზე. სასამართლომ ბრალდებული, 1979 წელს დაბადებული ი. ბ., დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

43 წლის მამაკაცი, რომელსაც 16 წლის არასრულწლოვანი მის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტზე ადანაშაულებდა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2019 წლის ივნისში დააკავა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ი.ბ.-მ 2018 წლის სექტემბერში 16 წლის არასრულწლოვან გოგონასთან, მისი ნების საწინააღმდეგოდ, ძალადობის მუქარის გამოყენებით, სქესობრივი კავშირი დაამყარა, რის შედეგადაც არასრულწლოვანი დაფეხმძიმდა. მან ბავშვი 2019 წლის 31 მაისს გააჩინა. გამოძიების ფარგლებში ჩატარებული გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნის შედეგად დადასტურდა, რომ მსჯავრდებული ი. ბ. ბავშვის ბიოლოგიური მამაა.

მომხდარის გახმაურების შემდეგ, დამნაშავის სასჯელისგან თავის არიდების მიზნით, არასრულწლოვან გოგოს გაუპატიურებაში ბრალდებული მამაკაცის 14 წლის შვილზე დანიშვნა შესთავაზეს, იმ დათქმით, რომ „ბიჭი 16 წლის რომ გახდება, გოგოს ცოლად მერე მოიყვანს“.

გამოძიება, სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ გაუპატიურების ფაქტზე მიმდინარეობდა, რაც 10-დან 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა.

საქართველოში ქალთა და არასრულწლოვანთა წინააღმდეგ ჩადენილი სექსუალური ხასიათის დანაშაულები კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. პრობლემა, მეტწილად, მსგავსი დანაშაულების ბუნებიდან და საზოგადოებაში მყარად ფესვგადგმული სტერეოტიპებიდან მომდინარეობს.

აღნიშნულს მეტად ართულებს ენობრივი ბარიერი და ინფორმაციაზე წვდომის პრობლემა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო ეთნიკური უმცირესობით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებსა და სოფლებშია.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიესალმება როგორც აღნიშნული საქმის გასახსნელად საგამოძიებო უწყების აქტიურ მუშაობას, ისე სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

მსგავსი სახის დანაშაულების პრევენციისთვის სამართალდამცავთა რეაგირებასა და დამნაშავეთა დასჯას უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აქვს, მაგრამ ასევე აუცილებელია, ხელისუფლებამ გააძლიეროს ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის პრევენციული მექანიზმები, სისტემური და კომპლექსური მეთოდებით. აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებზე და აღნიშნულთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება დაიგეგმოს მათი სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით.

# ვახტანგ გომელაური ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის დელეგაციას შეხვდა



შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის დელეგაციას შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს სამინისტროში სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმები. შეხვედრის მონაწილეებმა, ასევე, ისაუბრეს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში სამინისტროს მიღწევებზე.

ვახტანგ გომელაურმა ხაზი გაუსვა ევროპის საბჭოს თანამშრომლობით შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამინისტროს შესაძლებლობების განვითარების კუთხით.

ვიზიტის ფარგლებში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის დელეგაციის წევრები შეხვედრებს მართავენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლებთან.

# გლდანში 44 წლის მამაკაცი დაჭრეს



გუშინ, 11 მარტს, გლდანში 44 წლის მამაკაცი დაჭრეს. იგი კორპუსიდან გამოდიოდა, როდესაც, სავარაუდოდ, დანით შეიარაღებული პირი თავს დაესხა და ჭრილობა მიაყენა.

ნიუპოსტს შსს-ში განუცხადეს, რომ მომხდარზე გამოძიება 19-108 მუხლით არის დაწყებული, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

# სამეგრელოში უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოვლინდა



ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის სამეგრელოს, გურიისა და ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ზუგდიდის რაიონში გატარებული მიმდინარე კონტროლის პროცედურის შედეგად, 500 კოლოფი უაქციზო სიგარეტის შენახვა-გადაზიდვის ფაქტები გამოავლინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, აღნიშნული ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილით, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი და საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.

# ზუგდიდში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს



ზუგდიდში ახალგაზრდა მამაკაცი ცივი იარაღით დაჭრეს.

მამაკაცი ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალშია გადაყვანილი და ექიმის თქმით, პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ჭრილობა მამაკაცს მარცხენა მკერდის არეში აქვს მიყენებული.

მომხდართან დაკავშირებით ერთი პირი დააკავეს. გამოძიება კი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით მიმდინარეობს.

# თბილისსა და რამდენიმე რეგიონში ახალი პროკურორები დაინიშნენ

საქართველოს პროკურატურაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა.

თბილისის პროკურორად ლევან გეგეჭკორი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორად ზაზა მეტონიძე, სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურორად მალხაზ გეწაძე, ხოლო ქვემო ქართლის საოლქო პროკურორად შოთა კვაჭანტირაძე დაინიშნენ.

აღნიშნულ პირებს საქართველოს პროკურატურაში სხვადასხვა პოზიციები ეკავათ.

საქართველოს პროკურატურაში განხორციელებული საკადრო ცვლილებები მიმართულია სისტემის ეფექტიანობის კიდევ უფრო ამაღლების და განვითარებისკენ.

# ჯო ბაიდენმა აშშ-ის 4 შტატის პრაიმერიზში გაიმარჯვა




აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა და ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ქვეყნის 4 შტატში გამართულ პრაიმერიზში გაიმარჯვა.

ბაიდენმა კონკურენტი ბერნი სანდერსი აიდაჰოში, მისურიში, მისისიპისა და მიჩიგანში დაამარცხა.

ჩრდილოეთ დაკოტასა და ვაშინგტონის შტატებში გამართული პრაიმერიზის შედეგები კი ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

პრაიმერიზის გამართვამდე ამომრჩეველს ბაიდენის მხარდაჭერისკენ მოუწოდეს საპრეზიდენტო მარათონს გამოთიშულმა კანდიდატებმა მაიკლ ბლუმბერგმა და პიტ ბუტიჯიჩმა. მათი თქმით, აშშ-ის პრეზიდენტობის დემოკრატ კანდიდატებს შორის დონალდ ტრამპის დამარცხებას მხოლოდ ჯო ბაიდენი შეძლებს.

აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის 3 ნოემბერს გაიმართება.

# უკრაინაში იხურება სასწავლო დაწესებულებები, იკრძალება შეკრებები, იკეტება სასაზღვრო პუნქტები



უკრაინის მთავრობის გადაწყვეტილებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით სკოლები და სასწავლო დაწესებულებები დაიხურება. ამის შესახებ ინფორმაცია პარლამენტარმა ვიქტორია სიუმარმა „ფეისბუქის“ გვერდზე დაწერა.

„დაწესდა კარანტინი, რომელიც ხვალიდან დაიწყება და 3 აპრილამდე გაგრძელდება“, – წერს სიუმარი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

მთელი ქვეყნის მასშტაბით იხურება საბავშვო ბაღები, სკოლები და უნივერსიტეტები, იკრძალება შეკრებები, რომელთაც 200-ზე მეტი ადამიანი ესწრება. ქვეყანა ასევე კეტავს 219 არსებული სასაზღვრო გამშვები პუნქტიდან 170-ს.

ამ დროისთვის უკრაინაში კორონავირუსის სულ 1 შემთხვევაა დაფიქსირებული.

# ახალი გუნდები მეოთხედფინალებში



**ვალენსია-ატალანტა 3:4**

**(პირველი მატჩი 1:4)**

**ვალენსია. მესტალია**

0:1 ილიჩიჩი (3პ), 1:1 გამეირო (21), 1:2 ილიჩიჩი (43პ), 2:2 გამეირო (51), 3:2 ტორესი (67), 3:3, 3:4 ილიჩიჩი (71, 82)

**ვალენსია:** სილესენი, ვასი, კოკლენი (ჩერიშევი 74), დიახაბი (გედეში 46), გაია, ტორესი, პარეხო, კონდოგბია, სოლერი, გამეირო, როდრიგო (ფლორენცი 79)

**ატალანტა:** სპორტიელო, ჰატებური, ჯიმშიტი, კალდარა, გოსენსი, დე როონი (საპატა 44), ფროილერი, პაშალიჩი (ტამეზი 83), გომესი (მალინოვსკი 78), ილიჩიჩი

ვალენსიას მთავარი ამოცანა, ბევრი გოლის გატანა და არგაშვება იყო. მასპინძლებმა მხოლოდ პირველი ნაწილი შეასრულეს – სავალდებულო მინიმუმი შეასრულეს და 3 გოლი გაიტანეს, მაგრამ...

ვალენსიელთათვის მატჩი ცუდად დაიწყო – დასაწყისშივე დიახაბიმ საჯარიმოში ილიჩიჩი წააქცია და მანაც ზუსტად დაჰკრა 11 მეტრიდან. ვალენსია არ დანებდა და ტაიმის შუაში ანგარიში გაათანაბრა. იტალიელებმა კი გააგრძელს ღია თამაში და ტაიმის ბოლოს ილიჩიჩი კიდევ ერთხელ დადგა პენალტის ნიშნულთან – სლოვენიელს მიზანმა არც მეორედ უმტყუნა.

გასახდელიდან გამოსულ ატალანტას მალევე შეეძლო კიდევ ერთი გოლის გატანა, მაგრამ ფლოირელმა ბურთი ხარიხას გაარტყა და გოლიც იქით მიიღეს. ვალენსიელთაგან დუბლი გამეირომ შეასრულა, ხოლო 67 წუთზე ტორესმა სულაც წინ გაიყვანა „ღამურები“.

თუმცა, მოედანზე იყო ადამიანი, რომელიც ვალენსიას სიხარულს არ აცდიდა – მატჩის ბოლომდე ილიჩიჩმა კიდევ 2 გოლი გაიტანა (ჯამში პოკერი შეასრულა) და ატალანტა „მესტალიიდანაც“ გამარჯვებული წამოვიდა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – იოსიპ ილიჩიჩი

ალბათ სხვა ვერსია არც უნდა არსებობდეს – ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში შესრულებულ პოკერს ადამიანი ყოველდღე ვერ ნახავს. მით უფრო, როდესაც გუნდი ასეთი მაღალი რანგის ტურნირის დებიუტანტია...

**ლაიფციგი-ტოტენჰემი 3:0**

**(პირველი მატჩი 1:0)**

**ლაიპციგი. რედ ბული**

1:0, 2:0 ზაბიტცერი (10, 22), ფორსბერგი (87)

**ლაიფციგი:** გულაჩი, მუკიელე (ადამსი 55), კლოსტერმანი, უპამეკანო, ჰალსტენბერგი, ანხელინიო, ლაიმერი, ზაბიტცერი (ფორსბერგი 87), ნკუნკუ (აიდარა 59), შიკი, ვერნერი

**ტოტენჰემი:** ლორისი, ტანგანგა, დაიერი, ალდერვეირელდი, სესინიონი, ლო ჩელსო (ჟედსონი 80), უინკსი, ორიე (ფეგან-უოლკოტი 90), ლამელა, მოურა, ალი

მიუხედავად იმისა, რომ ლაიფციგს გერმანიის ბუნდესლიგაში ბოლო დროს ჩავარდნა ჰქონდა და პირველ ადგილზე მყოფმა მესამემდე ჩაინაცვლა, ჩემპიონთა ლიგაზე ყველაფერი წესრიგში აქვს.

„ხარებმა“ ჯერ კიდევ ლონდონში მოიგეს კომფორტული ანგარიშით, ხოლო შინაურ არენაზე „მეტოქეს“ დეზები დააჭრეს. ზაბიტცერის დუბლმა ჯერ კიდევ პირველივე ტაიმში გადაწყვიტა ორრაუნდიანი მატჩის ბედი, ხოლო მატჩის მიწურულს ფორსბერგმა წერტილი დაუსვა ჟოზე მოურინიოს გუნდის ტანჯვას. პორტუგალიელი სპეციალისტი მალევე მიხვდა, რომ ბრძოლას აზრი არ ჰქონდა და ფეხბურთელებთან ერთად კაპიტულაცია შესვენების შემდეგ გამოაცხადა. თავს არც ლაიფციგი იკლავდა, მაგრამ მაყურებელთა ხათრით ბოლოს მაინც გაიტანა.

როგორც ჩანს, ლაიფციგური გუნდის თავკაცი ნაგელსმანი აქცენტს უფრო ჩემპიონთა ლიგაზე აკეთებს. ფაქტიც სახეზეა – გუნდი, რომელიც სულ რაღაც 10 წლის არის, უკვე ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის მეოთხედფინალშია.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – მარსელ ზაბიტცერი

ფეხბურთელი საკმაოდ კარგად გაისარჯა და დაამტკიცა, რომ სულაც არ იმსახურებს სათადარიგოთა შორის ყოფნას. პირველივე ტაიმში მის მიერ შესრულებული დუბლით ტოტენჰემი სრულიად მოიშალა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# აშშ მზადაა, თურქეთს პეტრიოტის ტიპის რაკეტები მიაწოდოს




აშშ მზადაა, თურქეთს პეტრიოტის ტიპის რაკტები მიაწოდოს. ამის თაობაზე თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა.

ეს პენტაგონის წარმომადგენელმა ჰოფმანმაც დაადასტურა, თუმცა ამერიკელებმა თავიანთი პირობებიც წამოაყენეს.

– აშშ მზადაა, თურქეთს პეტრიოტის ტიპის რაკეტები მიჰყიდოს, ოღონდ ერთი პირობით: თურქებმა ჩ-400 ტიპის რაკეტები, რომლებიც რუსებისაგან მიიღეს, ისევ რუსებს უნდა დაუბრუნონ, – თქვა ჰოფმანმა.

# მოსკოვში თავყრილობები შეიზღუდა



მოსკოვის მერიის დადგენილებით, 10 აპრილამდე მასობრივი თავყრილობები შეიზღუდა. ნებადართულია მაქსიმუმ 5.000-იანი შეკრებები.

– მიზეზი კორონავირუსის გავრცელების საშიშროებაა, – განაცხადა მოსკოვის მერმა სობიანინმა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ქალი ორი წელი პლასტმასის მცენარეს რწყავდა



ამერიკის კალიფორნიის შტატის მცხოვრები ქალბატონი ორი წლის განმავლობაში თავს ევლებოდა ქოთანში მოთავსებულ მცენარეს და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ის პლასტმასის იყო, როდესაც მისი სხვა ქოთანში გადარგვა გადაწყვიტა.

დიასახლისი სელი უილკსი თავისი ლამაზი მცენარით, რომელიც სამზარეულოს ფანჯრის რაფაზე ედგა, თავს იწონებდა. ის მას რეგულარულად რწყავდა და სხვებს უფლებას არ აძლევდა მასზე ეზრუნათ.

– ამ მცენარეს მორწყვა კვირაში ერთხელ სჭირდება და თუ მეტ წყალს დაუსხამ, ის შესაძლოა დაიღუპოს, – განაცხადა ქალმა.

თებერვლის ბოლოს ქალმა გადაწყვიტა, მცენარე სხვა ქოთანში გადაერგო.

– ახალი მშვენიერი ქოთანი ვნახე, რომელიც მისთვის სრულიად შესაფერისი იყო. მე მცენარე პლასტიკატის კონტეინერიდან ამოვიღე, რომლითაც შევიძინე და ამ დროს გავიგე, რომ ის ხელოვნური იყო, – განაცხადა უილკსმა.

საკუთარ მცენარესთან დაკავშირებული ისტორია ქალმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

– იმდენი სიყვარული ჩავაქსოვე მის მოვლაში! ფოთლებს ვბანდი. ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ ის კარგად ყოფილიყო, ის კი პლასტმასის აღმოჩნდა! ამას თავიდანვე როგორ ვერ მივხვდი! გამოდის, რომ მთელი ორი წელი სიცრუეში ვიცხოვრე, – დაასკვნა ქალმა.

# ცოლის მკვლელობისთვის გასამართლებულმა მამაკაცმა სარჩელი მოიგო



ბრიტანელმა მილიონერმა, რომელიც სასჯელს ცოლის მკვლელობისთვის იხდის, მოიგო სარჩელი, რომელმაც მას შესაძლოა ასეულობით ათასი ფუნტი სტერლინგი მოუტანოს.

იენ უორკმენი მსხვილი კომპანიის მფლობელი იყო, რომელიც დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ ბოლტონში ავტომობილების შეკეთებითა და გაყიდვით იყო დაკავებული. 2008 წელს მან ცოლი მიატოვა და საცხოვრებლად საყვარელთან გადავიდა. ცოლმა განქორწინებაზე განცხადება შეიტანა და მამაკაცის ქონების ნახევარი მოითხოვა, რომელიც 2,5 მილიონ ფუნტ სტერლინგად იყო შეფასებული. უორკმენს არ სურდა ქალისთვის ფულის გაყოფა და მისი მოკვლა გადაწყვიტა. 2010 წლის აპრილში ის თავის ყოფილ მეუღლეს შეხვდა და მას გულში დანა დაარტყა. ქალი ადგილზევე დაიღუპა. 2011 წელს ბრიტანელ მილიონერს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. ის ციხეში აღმოჩნდა და პირობითი ვადამდელი განთავისუფლების მიღების უფლება მხოლოდ 17,5 წლის შემდეგ მიეცემა.

ციხეში უორკმენმა საგადასახადო სამსახურის წინააღმდეგ საქმე წამოიწყო, რომელიც, მისი აზრით, არასწორად დაანგარიშებულ დამატებითი ღირებულების გადასახადს გაზრდილი ტარიფით იღებდა. ის სასამართლოზე საპატიმროდან ვიდეოკავშირის დახმარებით სიტყვით გამოვიდა და საკუთარი სიმართლის დამტკიცება მოახერხა.

სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, ზედმეტად გადახდილმა თანხამ 310 ათასი ფუნტი სტერლინგი შეადგინა. კომპენსაციის თანხა, რომლის მიღების იმედიც შეიძლება ჰქონდეს მილიონერს, მოგვიანებით დადგინდება. ის ფულს მხოლოდ პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ მოახერხებს, რაც, თავის მხრივ, 2029 წელზე ადრე ვერ მოხდება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


# განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ: 593-60-60-44; 299-95-33 იკითხეთ ექიმი მერაბი.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 160 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ფედერაციები ევროპის ჩემპიონატის ფლეი ოფების გადადებას ითხოვენ

## უეფა პოზიციას არ ცვლის

კორონავირუსთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება, სფფ-ის ეგიდით გამართული ყველა ჩემპიონატის, მათ შორის, ეროვნული ლიგის, ეროვნული ლიგა 2-ის, ლიგა 3-ის, ასევე ასაკობრივი ჩემპიონატების 1 აპრილამდე შეჩერების თაობაზე.

ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, მთავარი პრიორიტეტი ჩვენი ფეხბურთელებისა და გულშემატკივრის ჯანმრთელობა და უსაფრთხოებაა.

ეროვნული ჩემპიონატი გასაგებია, მაგრამ, ჯერჯერობით, უცნობია, რა ბედის ელის ევრო 2020-ის ფლეი ოფის ნახევარფინალურ მატჩს საქართველოს და ბელარუსის ნაკრებებს შორის, რომელიც თბილისში, „დინამო არენაზე" 26 მარტს უნდა გაიმართოს.

როგორც უკვე იცით, 26 და 31 მარტს ევრო 2020-ის ფლეი ოფის მატჩები გაიმართება. საქართველოსა და ბელარუსს შორის გამარჯვებული ფინალურ მატჩში ჩრდილოეთ მაკედონიისა და კოსოვოს შორის უმჯობესს შეხვდება.

არის რამდენიმე ვერსია: მატჩი ჩატარდეს მაყურებლების თანხლებით; ჩატარდეს უმაყურებლოდ; გადაიდოს;

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და უეფას ფეხბურთის კომიტეტის თავმჯდომარე ლევან კობიაშვილმა უეფას მიმართა.

**ლევან კობიაშვილი:**

– მაშინ, როდესაც მსოფლიოში ყოველდღიურად იზრდება ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვი, დახურულ კარს მიღმა, მაყურებლის გარეშე, საერთაშორისო მატჩების გამართვა გამოსავალი არ არის, რადგან ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მგზავრობით, საკუთარი ჯანმრთელობის რისკის ქვეშ დაყენება უწევთ. თითოეულმა ფედერაციამ, უეფასთან ერთად, უნდა ვიზრუნოთ არა მხოლოდ გულშემატკივრის უსაფრთხოებაზე, არამედ ჩვენი ფეხბურთელების ჯანმრთელობაზე! ამ საკითხზე აუცილებლად უნდა ვისაუბროთ. მაყურებლისთვის სტადიონის კარის დაკეტვა, პრობლემის მოგვარების გზა არ არის!



ამ განცხადებით, ფეხბურთის ფედერაცია მატჩის გადადების მომხრეა. იგივე აზრზეა ჩრდილოეთ მაკედონიის ფედერაციაც, რომელიც უეფას თხოვნით მიმართავს.

მართალია, ჩრდილოეთ მაკედონიის ჯანდაცვის სამინისტრომ მიიღო ზომები კოსოვოსთან შეხვედრასთან დაკავშირებით და გადაწყვიტა, რომ შეხვედრა უმაყურებლოდ ჩატარდება, მაგრამ მათთვისაც დიდი პრობლემაა ფეხბურთელების იმ ქვეყნებიდან შემოსვლა, რომლებიც ვირუსის მატარებელთა რისკშია შესული.

მაკედონიის ფეხბურთის ფედერაციამ უეფას მატჩის გადადების თხოვნით უკვე მიმართა, რასაც დიდი ალბათობით, კოსოვოც დაეთანხმება, რადგან მათი ფეხბურთელებიც თამაშობენ იმ ქვეყნებში, სადაც იზოლაციაა გამოცხადებული და ვერ მოახერხებენ სკოპიეში მატჩზე გამოცხადებას.

კოსოვოს იტალიის ჩემპიონატში, ჩრდილოეთ მაკედონიის მსგავსად, 3 ფეხბურთელი ჰყავს: ტორინოს მეკარე სამირ უიკანი, ამირ რაჰმანი, რომელიც ვერონას ღირსებას იცავს და ბოლონიას ცენტრალური მცველი ლირიმ კასტრატი.

– კოსოვო აღშფოთებულია კორონავირუსის გამო ფეხბურთელთა ნაკრებში ჩამოსვლის შეფერხებით. ეს სიტუაცია ჩვენი ნაკრებისთვის შემაშფოთებელია. ჩვენი ნაკრები ოფიციალურ მატჩამდე დიდხნიანი შეკრების გავლას ვერ მოახერხებს და ამას ემატება ის ფაქტიც, რომ წითელ ზონად გამოცხადების გამო, იტალიის დატოვებას ვერ შეძლებენ სერია ა-ს კოსოვოელი ფეხბურთელები, რაც მათ 26 მარტს ჩრდილოეთ მაკედონიასთან თამაშის საშუალებას არ მისცემს. ახლახან ჩრდილოეთ მაკედონიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისინი ამავე მიზეზით შეხვედრის გადადებას ითხოვენ, თუმცა, ჯერჯერობით, პასუხი უცნობია. კოსოვოს ნაკრების მწვრთნელი შეშფოთებულია იმის გამო, რომ იტალიიდან ყველა ფრენა გაუქმდა, მათ კი ეროვნულ გუნდში სერია ა-დან ფეხბურთელების ჩამოყვანის სხვა ალტერნატივა არ აქვთ, – წერს იქაური პრესა.

ახლა გასარკვევია, რა რეაქცია ექნებათ ევროპული ფეხბურთის მმართველებს.

მსოფლიოში გავრცელებულმა ვირუსმა ერთა ლიგა საფრთხის ქვეშ რომ დააყენა, ფაქტია. ერთი გადაწყვეტილება უკვე მიღებულია – სლოვაკეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, 26 მარტს სლოვაკეთისა და ირლანდიის ნაკრებების ნახევარფინალური მატჩი ბრატისლავაში ცარიელი ტრიბუნების წინ გაიმართება.

სლოვაკეთის მთავრობამ 14 დღით სპორტული ღონისძიებების შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო. არადა, ამ ქვეყანაში კორონავირუსის სულ 7 შემთხვევაა დაფიქსირებული.

როგორც ადგილობრივი ხელისუფლება და ფეხბურთის ფედერაცია აცხადებს, სლოვაკეთისა და ირლანდიის მატჩი, რადგან საერთაშორისო მნიშვნელობისაა, გაიმართება, ოღონდ მაყურებლის გარეშე. ფანებს, რომელთაც უკვე შეიძინეს ბილეთები, თანხა აუნაზღაურდებათ.

სხვა საქმეა უეფას ეგიდით გასამართი ევროპის ლიგის თამაშები. მაგალითად, ხეტაფეს პრეზიდენტმა, ანხელ ტორესმა განაცხადა, რომ მისი გუნდი იტალიაში არ ჩავა და კლუბის წევრების ჯანმრთელობას საფრთხეში არ ჩააყენებს.

ესპანეთმა იტალიიდან პირდაპირი ფრენები 25 მარტამდე შეწყვიტა, რაც იმას ნიშნავს, რომ მადრიდულ კლუბს, კორონავირუსის გარდა, იტალიაში ჩასვლის პრობლემაც აქვს. ხეტაფე-ინტერის გარდა, ევროპალიგაზე რომა სევილიას უნდა ესტუმროს, ხოლო მომდევნო კვირას ნაპოლის კატალონიაში ჩემპიონთა ლიგის ეგიდით უწევს ჩასვლა.

**ანხელ ტორესი:**

–მომდევნო დღეებში მილანში თამაში იმას ნიშნავს, რომ უამრავი ადამიანის სიცოცხლეს შეიძლება საფრთხე დაემუქროს. იტალიასა და ესპანეთს შორის ფრენის დროს საფრთხე კიდევ უფრო გაიზრდება. კორონავირუსი არამარტო იტალიის პრობლემაა, ეს მთლიანად ევროპის პრობლემაა. უეფასაც და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციასაც მივმართეთ, რომ მატჩი სხვაგან ჩატარდეს. თუ არაფერი შეიცვლება, ხეტაფე მილანში ჩასვლას არ აპირებს. თუ გინდათ, დაგვაჯარიმეთ.

ევროპალიგის მერვედფინალამდე ინტერმა მეთექვსმეტედფინალში რაზგრადის ლუდოგორეცს აჯობა, ხოლო ხეტაფემ ამსტერდამის აიაქსი გააგდო.

ნოტინგემ ფორესტის ბერძენი მფლობელი, ევანგელოს მარინაკისი ამბობს, რომ კორონავირუსი დაუდგინდა. მარინაკისი, რომელიც ოლიმპიაკოსის მფლობელიც გახლავთ, შაბათს ნოტინგემ ფორესტის და მილუოლის მატჩს დაესწრო.

როგორც ამბობენ, ბერძენი გუნდის გასახდელში ჩავიდა და კლუბის პერსონალს, ასევე ფეხბურთელებს და სამწვრთნელო შტაბს ყველას ხელი ჩამოართვა. შედეგად მთელი გუნდი, პერსონალი სამედიცინო შემოწმებას გადის და ინტენსიური დაკვირვების ქვეშ არის.

52 წლის ბიზნესმენმა ეს ინსტაგრამის პოსტით დაადასტურა – „ვირუსმა მეც მომაკითხა... თუმცა კარგად ვარ, ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება და ექიმები რასაც მეუბნებიან, მეც იმას ვაკეთებ, ყველა ინფიცირებულს მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებ".

ლონდონის არსენალმა კი, საკუთარ ვებგვერდზე გამოაცხადა, რომ ინგლისის პრემიერლიგის 28-ე ტურის შეხვედრა, რომელიც ლონდონელებს სტუმრად მანჩესტერ სიტისთან 11 მარტს უნდა ჩაეტარებინათ, გადატანილია. გადაწყვეტილება „მეთოფეთა" გუნდის ფეხბურთელთა შორის კორონავირუსით ინფიცირების რისკს უკავშირდება.

საქმე ის არის, რომ 27 თებერვალს, ლონდონის არსენალმა ევროპალიგის მეთექვსმეტედფინალში ოლიმპიაკოსს უმასპინძლა. ფეხბურთელებთან ურთიერთობა ჰქონდა ბერძნული კლუბის პრეზიდენტ ევანგელოს მარინაკისს.

არსენალი სპეციალურ განცხადებას აქვეყნებს:

– იმ სიახლის შემდეგ, რომ ოლიმპიაკოსის მფლობელი ევანგელოს მარინაკისი კორონავირუსით დაავადდა, თვალყური გვიჭირავს ყველა იმ პირზე, ვისაც ახლო კონტაქტი ჰქონდა მასთან 13 დღის წინ. ჩვენ დავადგინეთ, რომ თამაშის დასრულების შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელს ჰქონდა მასთან საუბარი. არსენალის მოთამაშეებში ვირუსის გავრცელების რისკი ძალიან დაბალია, მაგრამ ვითვალისწინებთ მედიკოსების რეკომენდაციას, რომლის თანახმად, საჭიროა თითოეული ადამიანის 14 დღით იზოლაცია, ვისაც კი ავადმყოფთან კონტაქტი ჰქონია. შესაბამისად, ფეხბურთელები ვერ შეძლებდნენ მონაწილეობას მანჩესტერ სიტის წინააღმდეგ მატჩში და პრემიერლიგამაც მატჩის გადადება გადაწყვიტა.

მოკლედ, კორონავირუსი ფეხბურთსაც მაგრად უტევს... უეფა ჯერ თავს მედგრად იცავს და ევროპის ჩემპიონატის გადატანაზე არ ფიქრობს.

## შერმადინის შედეგიანობამ ტენერიფეს ვერ უშველა



ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში მარცხი განიცადა გიორგი შერმადინის ტენერიფემ, მაგრამ ტურნირს არ დამშვიდობებია. ტენერიფეს პირველი შეხვედრა 85:75 ჰქონდა მოგებული, სერია კი, 2 გამარჯვებამდეა. ბელგიური დაპირისპირებაც ტენერიფელთა სასარგებლოდ რომ დასრულებულიყო, მომდევნო ეტაპზე გიორგის გუნდი გავიდოდა. თუმცა, ბელგიელებმა მოიგეს და მეოთხედფინალისტის ვინაობას მესამე შეხვედრა გადაწყვეტს, რომელიც ესპანეთში გაიმართება.

ოსტენდეში მასპინძლებმა თავიდანვე მოიპოვეს მცირე უპირატესობა და ბოლომდე შეინარჩუნეს – 75:69.

ტენერიფე, როგორც ყოველთვის, აქცენტს ფარქვეშიდან თამაშზე აკეთებდა, შერმადინმა თავისი საქმე კარგადაც შეასრულა – 19 ქულა ჩააგდო, ხოლო მასზე 2-3 დამცველი რომ გადადიოდა, ბურთი პერიმეტრზე გაჰქონდა, საიდანაც სტუმრები ვერ ყოჩაღობდნენ. მათ ჯამში 7 სამქულიანი გამოიყენეს, მაშინ, როდესაც ოსტენდეს კალათბურთელებმა 24-დან 10 სამიანი ჩააგდეს.

შეხვედრის ბომბარდირი ჩვენებური გახდა, რომელმაც 20 წუთში 19 ქულა (10/6 ორქულიანი, 8/7 საჯარიმო), 5 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. მარგი ქმედების კოეფიციენტით (18) იგი მატჩის საუკეთესო კალათბურთელიც იყო.

## შედეგები

**10 მარტი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ვალენსია-ატალანტა ..................... 3:4

ლაიფციგი-ტოტენჰემი .................. 3:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ეიბარი-სოსიედადი ........................ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 27 | 18 | 4 | 5 | 63-31 | 58 |
| 2.რეალი | 27 | 16 | 8 | 3 | 49-21 | 56 |
| 3.სევილია | 27 | 13 | 8 | 6 | 39-29 | 47 |
| 4.სოსიედადი | 27 | 14 | 4 | 9 | 45-33 | 46 |
| 5.ხეტაფე | 27 | 13 | 7 | 7 | 37-25 | 46 |
| 6.ატლეტიკო | 27 | 11 | 12 | 4 | 31-21 | 45 |
| 7.ვალენსია | 27 | 11 | 9 | 7 | 38-39 | 42 |
| 8.ვილიარეალი | 27 | 11 | 5 | 11 | 44-38 | 38 |
| 9.გრანადა | 27 | 11 | 5 | 11 | 33-32 | 38 |
| 10.ბილბაო | 27 | 9 | 10 | 8 | 29-23 | 37 |
| 11.ოსასუნა | 27 | 8 | 10 | 9 | 34-38 | 34 |
| 12.ბეტისი | 27 | 8 | 9 | 10 | 38-43 | 33 |
| 13.ლევანტე | 27 | 10 | 3 | 14 | 32-40 | 33 |
| 14.ალავესი | 27 | 8 | 8 | 11 | 29-37 | 32 |
| 15.ვალიადოლიდი | 27 | 6 | 11 | 10 | 23-33 | 29 |
| 16.ეიბარი | 27 | 7 | 6 | 14 | 27-41 | 27 |
| 17.სელტა | 27 | 5 | 11 | 11 | 22-34 | 26 |
| 18.მალიორკა | 27 | 7 | 4 | 16 | 28-44 | 25 |
| 19.ლეგანესი | 27 | 5 | 8 | 14 | 21-41 | 23 |
| 20.ესპანიოლი | 27 | 4 | 8 | 15 | 23-46 | 20 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## სანდრო ბაზაძე ოლიმპიადაზე გამოვა




ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ოლიმპიურ გუნდში მოფარიკავე სანდრო ბაზაძეც იქნება.

ევროპის ჩემპიონატების 3 ბრინჯაოს მედლის მფლობელი სანდრო ბაზაძე ლუქსემბურგის მსოფლიო თასის შემდეგ გამოქვეყნებულ მსოფლიო რეიტინგში მე-7 საფეხურზეა, რაც ქართველ ხმლით მოფარიკავეს ოლიმპიურ საგზურს აძლევს. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი შესაბამის ოფიციალურ შეტყობინებას ახლო მომავალში ელოდება.

სანდრო ბაზაძისთვის ეს მე-2 ოლიმპიური თამაშები იქნება. ჩვენებურის ოლიმპიური დებიუტი 2016 წელს რიოში შედგა, სადაც მან 32 მონაწილეს შორის მე-13 ადგილი დაიკავა.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში; 2. ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; 3. ძლიერმომქმედი ნარკოტიკი; 5. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 6. ქართლში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. პოეტ ტერენტი გრანელის ნამდვილი გვარი; 10. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 12. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 14. ამერიკელი მულტიპლიკატორი; 15. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 16. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. ანსამბლ „როლინგ სტოუნზის" ლიდერი; 4. კუთხე საქართველოში; 7. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 9. მატყლით დატენილი მოგრძო მრგვალი ბალიში; 11. ამაზონკაში ბინადარი მტაცებელი თევზი; 12. ამერიკელი იურისტი, დეტექტიური ჟანრის მწერალი; 13. მხარე ავსტრიაში; 17. კომპანია „მაიკროსოფტის" მფლობელი; 18. დიპლომატიური წარმომადგენელი; 19. წინასწარი ზომების მიღება რაიმეს თავიდან ასაცილებლად; 20. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## სამგლოვიარო განცხადებები

თანაკლასელები, მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის, გულრიფშის რაიონის მკვიდრი, საზოგადოებაში ცნობილი ოჯახის შვილი, ულალატო მეგობარი, ოჯახისათვის თავდადებული დედა

**მადლენა ღვინჯილია**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კახასა; 2. ანდორა; 3. რანდი; 5. თუჯი; 6. ლორისი; 8. ჰოპერი; 11. ზავენტემი; 13. პრელატი; 14. სოკრატე; 15. ტიციანი; 19. დასი.

**თარაზულად:** 1. კრომბახერი; 4. მუხთალი; 7. ხავერდი; 9. დეპორტი; 10. აზარი; 12. გლეტჩერი; 16. უილიამსი; 17. ჰეფნერი; 18. კროსვორდი; 20. მიამიტი; 21. კივი; 22. მაყრიონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჯარა; 2. ტორფი; 3. ოპიუმი; 5. პეტრა; 6. ჩურჩხელა; 8. გოლფსტრიმი; 10. ესკადრა; 12. სისტოლა; 14. მექისე; 15. პანიკა.

**თარაზულად:** 1. ჯალიტა; 4. აპალაჩი; 7. ყურანი; 9. მაკაბი; 11. გლობუსი; 12. საინგილო; 13. ბახუსი; 17. იბერია; 18. ციხე; 19. ალტრუიზმი; 20. ვილაიეთი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 მარტი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8791

ევრო — 3.2591

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7218

100 რუსული რუბლი — 3.9955

## ამინდის პროგნოზი 12 მარტისთვის






## 10 მარტიდან
# ქართული ჰაგიოგრაფია
ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## თეა დარჩია კარანტინში მყოფებისთვის იცეკვებს



„სუხიშვილების“ ერთ-ერთი გამორჩეული მოცეკვავე თეა დარჩია კარანტინში მყოფებისთვის იცეკვებს. მოცეკვავემ საკუთარი ინიციატივა ინტერნეტში გააჟღერა და განაცხადა, რომ მზად არის, სპეციალურად მაღალი სამოქალაქო თვითშეგნების მქონე ადამიანთათვის, რომლებიც თვითიზოლაციასა და კარანტინში იმყოფებიან, ცეკვის ვიდეოები ჩაწეროს:

— მე ვარ თეა დარჩია, მოცეკვავე და ძალიან დიდი სიხარულით და სიყვარულით ყველა იმ მაღალი სამოქალაქო თვითშეგნების ადამიანისთვის, რომლებიც თვითკარანტინში ან კარანტინში არიან, ვიცეკვებ. სპეციალურად თქვენთვის ყოველდღე ჩავწერ ახალ ცეკვას იუთუბ არხზე, რომ უყუროთ, იცეკვოთ, გაბედნიერდეთ, გახალისდეთ, არ მოიწყინოთ და ერთად ცეკვით და სიყვარულით და ბედნიერებით დავამარცხოთ ეს საშინელი სენი.

## „დიდი სცენის“ შესარჩევი ტურები აღარ ჩატარდება

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მუსიკალური შოუს „დიდი სცენის“ შესარჩევი ტურები აღარ ჩატარდება.

კონკურსანტების მოსმენა 12 მარტს თბილისში უნდა დაწყებულიყო, თუმცა პროექტის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება შეცვალა:

— 12, 13, 14 და 15 მარტს ჩანიშნული ქასთინგები კორონავირუსის პრევენციის მიზნით გაუქმდა.

„დიდი სცენა“ გთავაზობთ უპრეცედენტო ონლაინ ქასთინგს!

თუ უკვე შეგისრულდა 16 წელი, თუ ფიქრობ, რომ შენი ადგილი დიდ სცენაზეა, იმღერე შენთვის სასურველი ნებისმიერი სიმღერა, გადაიღე ვიდეო და საკონტაქტო ნომერთან ერთად გამოგვიგზავნე პირად შეტყობინებაში. ქასთინგის ბოლო ვადა 20 მარტია, — ნათქვამია „დიდი სცენის“ ოფიციალურ განცხადებაში.

## ლიზა ბათიაშვილმა ახალი ალბომი ჩაწერა




მევიოლინე ლიზა ბათიაშვილმა ახალი ალბომი ჩაწერა.

— ბედნიერი ვარ, რომ გაცნობოთ ჩემი ახალი ალბომის გამოსვლის შესახებ, რომელიც ბევრი ნიჭიერი ადამიანის ერთობლივი ნამუშევარია. იმედი მაქვს, მოგეწონებათ და სიამოვნებით მოისმენთ. მანამდე კი პირველი ნამუშევრის მოსმენა პარასკევს შეგეძლებათ და ეს ლეგენდარული ჩარლი ჩაპლინის მუსიკა იქნება, — განაცხადა ლიზა ბათიაშვილმა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## მეთევზეებმა 900 კილოგრამიანი თევზი დაიჭირეს



ინდოეთის შტატ დასავლეთ ბენგალიის სანაპიროსთან დაიჭირეს სკატი, რომლის წონამ 900 კილოგრამი შეადგინა.

მეთევზეები, რომელთაც ეს უზარმაზარი თევზი დაიჭირეს, ვარაუდობენ, რომ მას გზა აერია და თავი თავთხელ წყალში ამოჰყო, ხოლო ძლიერმა ღელვამ ოკეანეში დაბრუნებაში შეუშალა ხელი.

როდესაც უზარმაზარი სკატი ნაპირზე ამოათრიეს, მის ირგვლივ უამრავმა სეირის მაყურებელმა მოიყარა თავი. საბოლოოდ დაჭერილი თევზი 20 ათას რუპიად თევზით მოვაჭრეს მიჰყიდეს. ის მის კალკუტაში წაღებას გეგმავს, სადაც თევზში გაცილებით დიდი თანხის აღებას შეძლებს. მისი მტკიცებით, სკატს არა მხოლოდ უბრალოდ საჭმელად, არამედ სამკურნალო დანიშნულებითაც ყიდულობენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი
12 მარტისთვის



**ვერძი** — დღის პირველ ნახევარში ერიდეთ კოლექტიურ მუშაობას. საღამოს გაგიმართლებთ ოჯახურ ურთიერთობებში. **კურო** — გარისკვა რეკომენდებული არ არის. ცდუნებას ნუ აჰყვებით. მეგობრებთან ურთიერთობისას ემოციები მოთოკეთ. **ტყუპები** — სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებთ. დღეს მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რომელშიც კარგად ერკვევით. **კირჩხიბი** — ნუ იზარმაცებთ. ხანდახან შეგიძლიათ, თავს დასვენების უფლება მისცეთ, მაგრამ დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. **ლომი** — დღის პირველ ნახევარში ახალ ნაცნობობას ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** — ამბიციურობა, აგრესიულობა სიკეთეს არ მოგიტანთ. კარიერას გაუფრთხილდით. **სასწორი** — ენერგია საგრძნობლად გემატებათ. ახლა მთავარია, დრო სწორად გაანაწილოთ. **ღრიანკალი** — მაცდური დღეა. იფრთხილეთ, პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **მშვილდოსანი** — ნუ იაქტიურებთ, განსაკუთრებით — კომერციულ სფეროში, ნურც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ. **თხის რქა** — კეთილისმყოფელი დღეა ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისათვის. გელით კარიერული წინსვლა. **მერწყული** — ახალი საქმე თამამად დაგეგმეთ. გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მიიღეთ. **თევზები** — შესანიშნავი პერიოდია პროფესიონალიზმის ასამაღლებლად. ჩაიტარეთ წყლის პროცედურები.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— შენიშნე, რომ ყველა ექსტრასენსი აცხადებს, რომ „დავაბრუნებ ქმარს“.

— მართალია, და მერე?

— რა და ის, რომ, როგორც ჩანს, თუ ცოლი წავიდა, ამ შემთხვევაში ექსტრასენსები უძლურები არიან.

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

— ძვირფასო, რა გინდა დაბადების დღისთვის?

— მინდა სილამაზის სალონში წავიდე კოსმეტოლოგთან და სახე გავისუფთავო.

— და რა გამოვა? ვინმე თუ მკითხავს, რა გაჩუქე დაბადების დღეზე, იძულებული ვიქნები ვუპასუხო, რომ სიფათი გაგისუფთავე?!

●●●

ორი მოხუცი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— ჩემი ბებერი ნამდვილი ნაძირალაა!

— რატომ, რა მოხდა?

— ღამით ჩუმად დგება და ჩემი პროთეზით ნიორს ჭამს...

●●●

მამაკაცი ტელეფონზე რეკავს და კითხულობს:

— ალო, ეს საავადმყოფოს რეგისტრატურაა?

ქალის სასიამოვნო ხმა პასუხობს:

— არა, ეს პროზექტურაა.

— ბოდიშით, მაპატიეთ, ჩემთვის თქვენთან მოხვედრა ჯერ ადრეა...

— არა უშავს, დაგელოდებით.

●●●

ორი ხანშიშესული ქალი სოფლის შარაგზის პირას სკამზე ზის და ერთი მეორეს ეკითხება:

— რას ფიქრობ, შენი აზრით, ჩვენ სოფლამდე კორონავირუსი მოაღწევს?

— გზამ ვერ მოაღწია, გაზმა ვერ მოაღწია და ვერც კორონავირუსი მოაღწევს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— 15 წლის წინ ერთმა მკითხავმა მითხრა, რომ მთელ ჩემ შემოსავალს ქალებზე დავხარჯავდი.

— მერე?

— ახლა ცოლი და სამი ქალიშვილი მყავს და მთელ ჩემ ფულს მათ ვახარჯავ... არადა, 15 წლის წინ ყველაფერი სხვაგვარად წარმომედგინა...

●●●

აფთიაქში მამაკაცი გამყიდველს ეკითხება:

— უკაცრავად, ქალის ვიაგრა გაქვთ?

— საიუველირო, ქუჩის მოპირდაპირე მხარესაა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ევროპის ლიგა შეიძლება ჩაიშალოს




ერთ-ერთი მთავარი საფეხბურთო ტურნირი ევროპის ლიგა შესაძლოა ჩაიშალოს, რადგან ესპანური და იტალიური გუნდები ერთმანეთთან თამაშზე უარს ამბობენ.

ხეტაფეს მილანის ინტერთან უნდა ეთამაშა ხუთშაბათს, მაგრამ ესპანურმა გუნდმა მილანში ჩასვლაზე უარი თქვა. ასევე რომა სევილიას უნდა დაპირისპირებოდა ესპანეთში, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ რომას ჩასვლის უფლება არ მისცა.

ამ ყველაფრის მიზეზი კორონავირუსია, რომელიც უკვე ესპანეთსაც მოედო, იტალია კი დაინფიცირებულების რიცხვით მსოფლიოში მეორე ადგილზეა.

## ჰანოვერის ფეხბურთელს კორონავირუსი დაუდასტურდა




ჰანოვერის ცენტრალურ მცველს ტიმო ჰუბერსს კორონავირუსი დაუდასტურდა და ის გახდა პირველი ფეხბურთელი, ვისაც მსგავსი დაავადება აღმოაჩნდა.

ჰუბერსს დაინფიცირების შემდეგ ჰანოვერის ფეხბურთელებთან კონტაქტი არ ჰქონია, მაგრამ მათ მაინც შეამოწმებენ კორონავირუსზე.

სავარაუდოდ, ჰუბერსს ვირუსი მძიმე ფორმებში არ ექნება, რადგან ის ახალგაზრდაა და ჯანმრთელი ორგანიზმი აქვს.

ჰანოვერი დამატებით კომენტარს ამ დღეებში გააკეთებს.

## ჯანო ანანიძემ ტრავმა მიიღო



საქართველოს ნაკრების და კვიპროსის ანართოსისის ნახევარმცველმა ჯანო ანანიძემ გუნდის ვარჯიშზე საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო და ის საქართველოს ნაკრებს ბელორუსიასთან მატჩში ვერ დაეხმარება.

ჯანოს მყესის დაზიანება აქვს და შესაძლოა მან რამდენიმე თვე გამოტოვოს. ანანიძე ანართოსიში ერთი თვის წინ გადავიდა და გუნდის მწვრთნელი თემურ ქეცბაია მას ძირითად შემადგენლობაში ათამაშებდა, თუმცა ტრავმამ ჯანოს ისევ ხელი შეუშალა.

## მესიმ შესაძლოა რონალდინიო ციხიდან გამოიყვანოს




რონალდინიო ამჟამად პარაგვაის ციხეში იმყოფება, სადაც ის ყალბი პასპორტის გამო მოხვდა და მისი მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა.

ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია რომ ლიონელ მესიმ შესაძლოა 4 მილიონი ევრო გადაიხადოს და ამით რონალდინიოს ვალები გაისტუმროს, რის გამოც მან ბრაზილია დატოვა.

ასევე მესი აპირებს, რომ ბრაზილიელს კარგი ადვოკატები დაუქირავოს. თვითონ მესის ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დაუდასტურებია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ციხეში უდანაშაულოდ გატარებული 23 წლის გამო მამაკაცმა სოლიდური კომპენსაცია მიიღო



ამერიკის კანზასის შტატის მკვიდრმა, 23 წლის უდანაშაულოდ ციხეში გატარების გამო, სოლიდური კომპენსაცია მიიღო.

1994 წელს 17 წლის ლამონტ მაკინტაირს ორმაგი მკვლელობის ბრალდების გამო, რომელიც სინამდვილეში მას არ ჩაუდენია, სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. შედეგად მან საპატიმროში 8,5 ათას დღეზე მეტი გაატარა. 2017 წლის ოქტომბერში უაიანდოტის ოლქის სასამართლომ მის საქმეს გადახედა და სრულიად გაამართლა.

2019 წელს 43 წლის შავკანიანმა მამაკაცმა კანზასის შტატის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა შეცდომით გასამართლების კანონის საფუძველზე და რომელიც უკანონოდ გასამართლებულს ფულადი კომპენსაციის მიღების საშუალებას აძლევს. მიმდინარე წლის 24 თებერვალს გენერალური პროკურორის ოფისმა საქმეზე გადაწყვეტილება გამოიტანა და ლამონტ მაკინტაირისთვის კომპენსაციის სახით 1,5 მილიონი დოლარის გადახდა დაადგინა. მას ასევე გადაეცა უდანაშაულობის სერტიფიკატი და ნებართვა, მონაწილეობა მიიღოს 2020 და 2021 წელს სამედიცინო მომსახურეობის მიღებაში.

საქმის მასალები და დნმ-ის მონაცემები განადგურდება და მას ცხოვრების სუფთა ფურცლიდან დაწყება შეეძლება.

— კანზასის შტატმა ჩემი ცხოვრების 23 წელი წამართვა და სამაგიეროდ არაფერი მოუცია. შტატმა ჩემი ახალგაზრდობა წამართვა. წამართვა ჩემი ყველა დაბადების დღე და შობა ოჯახთან ერთად და იმ მძიმე წუთებშიც კი, როდესაც მე მათ ვჭირდებოდი, მათ გვერდით ყოფნას ვერ ვახერხებდი, — განაცხადა მამაკაცმა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. დინამიტის გამომგონებელი შვედი მრეწველი, მეცენატი; 2. მეთევზეთა, მეზღვაურთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 3. ფრანგი მოდელიორი; 5. მოკრივეთა, რაგბისტთა კბილების დამცავი რეზინის პროთეზი; 6. მდინარე თურქეთსა და საქართველოში; 8. მდინარე სვანეთში; 11. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. ქართველი პოეტი; 14. ქარბორბალას სახელწოდება აშშ-ში; 15. ქოლერის ძველი ქართული სახელწოდება; 19. შაქრის ლერწმისგან დამზადებული არაყი.

**თარაზულად:** 1. რაიონული ცენტრი ჯავახეთში; 4. გულის ერთ-ერთი განყოფილება; 7. ზღვების, ტბების ფსკერზე ბინადარი ცოცხალი ორგანიზმების საერთო სახელწოდება; 9. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 10. მდინარის ხეობა აფხაზეთში; 12. ტვირთის დროებით შესანახი სათავსო ნავსადგურში; 16. ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 17. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი, ეროვნული გმირი; 18. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 20. მოხეტიალე მომღერალი მუსიკოსი ძველ საბერძნეთში; 21. ტერიტორიული ერთეული შვეციაში; 22. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

